# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 ივნისი 2002 №110 (1632) | ფასი 50 თეთრი




ბრაზილია — ბელგია 2:0. ეს თამაში რივალდომ მოგვიგოო, თქვა ბელგიელთა მწვრთნელმა რობერ ვასეჟმა

# რენე დეკარტი: ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ!
# ბრუნო მეტიუ: ვაზროვნებ, ესე იგი, ვიგებ!





დღეს უკვე ვიცით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში სენეგალი, იაპონია ან თურქეთი ითამაშებენ. ასევე ვიცით, რომ ნახევარფინალში ვერ ითამაშებენ საფრანგეთი და არგენტინა. ნახევარფინალს მიღმა დარჩება ან ინგლისი, ან ბრაზილია.

ყოველივე ამის ოდენ სენსაციად მოხსენიება თავის მოტყუებას ნიშნავს. სენსაცია შემთხვევითობაა, ხოლო იმავ სენეგალის აქერ, აქამდე მოსვლა კანონზომიერება უფროა.

საფიქრებელია, რომ ის, რაც ამ ჩემპიონატზე ხდება, შემთხვევითი არ არის. მხოლოდ ვარსკვლავებით, მხოლოდ ნაცნობი ნახაზებით, მხოლოდ ჩვეული სტილით მოგება სულ უფრო ძნელი ხდება დიდი გუნდებისთვის. ფეხბურთში უკვე სხვანაირი ინტელექტია საჭირო.

თუმც, რაც ამ ჩემპიონატზე ხდება, საფეხბურთო რევოლუციას ვერ დავარქმევთ. ეს ადრე იყო, რევოლუციების დრო წავიდა, ახლა ევოლუციაა მოდაში და ეს სენეგალიც, კორეაც და იაპონიაც ამ ევოლუციის შედეგია.

წინ კი ინგლისი — ბრაზილიის მეოთხედფინალია. ყველა ჩემპიონატზე გამოერევა ხოლმე ერთი ასეთი „ფინალი ფინალამდე" და გუმანმა თუ არ გვიმტყუნა, დიდი სანახაობა გველის.

**მეოთხედფინალი. 21 ივნისი**

**ინგლისი — ბრაზილია**

**გერმანია — აშშ**

# კორეა-იაპონია 2002 მერვედფინალი

## №49 გერმანია 1:0 პარაგვაი

15 ივნისი. სეოგვიპო (კორეა). 11.30, „სეოგვიპო უორლდ კაფ სთადიუმ". 25 176 მაყურებელი

ნოივილი (88)




შეცვლა: სანტა კრუზი – 11. ხორხე კამპოსი (29), რემერი – 15. კელი (46), მეცელდერი – 4. ბაუმანი (60), ბონეტი – 14. გავილანი (84), სტრუვაი – 23. კუევასი (90), ნოივილი – 14. ასამოა (90)

გაფრთხილება: აკუნია (26), შნაიდერი (35), კარდოზო (50), ბაუმანი (72), ბალაკი (90)

გაძევება: აკუნია (90)

მსაჯები: კარლოს ბატრესი (გვატემალა); კერტის ჩარლზი (ანტიგუა და ბარბუდა), დრამანე დანტე (მალი)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 25 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 20 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 7 |



ხოსე ლუის ჩილავერტს დარტყმა წაუხდა

REUTERS

# გაბერვა-გახეთქვის ზღვარზე

## გერმანია მეტოქეს კელით სწვდა

**დავით თავართქილაძე**

**მუყაითი** კაცი ჩანს რუდი ფიოლერი. ემჩნევა, ბევრს ფიქრობს და თანაც ისე, რომ თავს არ იტკივებს.

გერმანიის ეროვნულ გუნდს კი მწვრთნელის ხელი ეტყობა. სად ერიხ რიბეკის ნაკრები და სად რუდი ფიოლერის — გერმანია ახლა მადაზეა და ამბიციებით იბერება.

ფიოლერის გუნდს მეტოქე სახელიანი და ლონიერი არ ჰყავდა, მაგრამ მობილური, შეუპოვარი და იტალიურად ნაწრთობი. პარაგვაიმ იბრძოლა და იჯახირა, გერმანიას მხოლოდ იმის ნება დართო, რომ ოდენ საფეხბურთო კულტურით დაეჩაგრა.

ულვაშა რუდის თავსატეხი ბლომად ჰქონდა — მიზეზთა გამო ოთხი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა იმ უცვლელ სასტარტო შემადგენლობაში, ჯგუფური ეტაპის მატჩებს რომ ანდობდა.

მარკო რემერი, იენს იერემისი, მარკო ბოდე და ოლივერ ნოივილი — ამ ოთხეულიდან ფიოლერს ყველამ გაუმართლა რემერის გარდა, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა აკლია და ახალმოშუშებულია.

სამაგიეროდ, ბუნდესმწვრთნელს, სებასტიან კელით შეუძლია თავი მოიწონოს, რომელმაც შესვენების შემდეგ შეცვალა რემერი. 22 წლის კელი ძალიან ყოჩაღად ჩაერთო თამაშში, მეტად ჭკვიანურად ირჯებოდა და ერთიორჯერ მწვავედაც გადავიდა იერიშზე. მოგეხსენებათ, კელი „დორტმუნდის", მათიას ზამერის დამოძღვრილი გუნდის წევრია და მას გერმანიაში სწორედ ზამერს ადარებენ. გავბედავთ და დავძენთ, რომ ამ მატჩში კელი მართლაც ჩამოგავდა მის დორტმუნდელ წითურ დამრიგებელს.

როგორც იქნა, ფიოლერმა კარსტენ იანკერს უგანა და მიროსლავ კლოზეს თავდასხმაში ოლივერ ნოივილი შეუწყვილა. ლევერკუზენელმა გამარჯვებისა შეაგდო და ფიოლერის ამ სვლაზე ალარაფერს ვიტყვით.

პარაგვაელებმა უგოლოდ დაატოვებინეს მოედანი მიროსლავ კლოზეს, რომელიც რამდენჯერმე აიწია ჰაერში და რამდენჯერმე მოიგო ბურთი, თუმც ხოსე ლუის ჩილავერტის კარს ერთხელაც ვერ დაუმიზნა.

დისკვალიფიცირებული დიტმარ ჰამანის არყოფნა იენს იერემისმა გააბათილა, ხოლო კრისტიან ციგესი მარკო ბოდემ. უნდა ითქვას, რომ ბოდე ციგეზე გაცილებით მრავალფეროვნად მოქმედებდა, მარცხენა ფლანგიდან ხშირად ცენტრისკენ ინაცვლებდა და კლოზე-ნოივილის დახმარებას ცდილობდა.

გერმანიამ სწრაფი გოლის გატანის სურვილით ოფლი კარგად მოიღინა, არცთუ ცოტა ხიფათიც შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ ბოდე, კლოზე, ბალაკი თუ ლინკე რატომღაც სულ ზეცისკენ უშვებდნენ ბურთს.

პარაგვაელთაგან კი სელსო აიალამ ვერ გაისწორა მიზანი. ხოლო ხორხე კამპოსმა რემერის უნიათობით ისარგებლა, ოციოდე მეტრიდან კარგად დაარტყა, მაგრამ გერმანელთა კარის ცხრიანს ოლივერ კანი გადაეფარა.

პირველი ტაიმის შუაწელიდან თამაში რომ გათანაბრდა, ჩეზარე მალდინის ბიჭების იერიშებიც იმას მოჰყვა.

მეორე ტაიმიდან კი ისევ გერმანელებმა გამოიღეს თავი. თუმც მძლავრი და მწვავე შეტევები მათ არ გამოსდიოდათ, მცდელობა კი მართლა იყო.

ფიოლერის გუნდმა აშკარა საგოლე მომენტები ვერ გააჩერხა, მაგრამ ჩილავერტს მაინც მოუხდა შნაიდერის, ნოივილის და ბალაკის მიერ მისი კარისკენ გაგზავნილი ბურთების მოგერიება.

საუკეთესო შანსი კი გერმანელთაგან ტორსტენ ფრინგსს ჰქონდა — მეტოქის საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა, ბურთი ცაციაზე მოხდენილად გადაიგდო, მაგრამ ძალიან ცუდად დაუმიზნა ჩილავერტის შორეულ ცხრიანს.

პარაგვაიზე იმისლა მოგახსენებთ, რომ გერმანელთა საჯარიმოდან 2-3 მეტრში მატჩის არბიტრს ჯარიმა დაანიშნინეს. ბურთთან ჩილავერტი მივიდა, მაგრამ „კედელსაც" გადაავლო და კანის კარსაც — მეორე ტაიმში პარაგვაიმ ღირებული ოდენ ეს შექმნა.

ევროპული გოლი გაუშვა ლათინოგუნდმა — სწრაფშეტევა, რომელიც კანმა დაიწყო, ბურთი ფლანგზე ფრინგსმა მოიგო და იმავე მარჯვენა ფრთაზე შნაიდერი გაიჭრა, მყისიერი ჩაწოდება კარის გასწვრივ, სადაც პარაგვაელ მცველებს ზურგსუკან ჩასაფრებული ნოივილი გამოხტა და ერთი შეხებით აუღებელი დაარტყა.

ცხადია, დიდი არაფერი, მაგრამ მაინც ქრესტომათიული, ევროპული გოლი იყო.

გერმანია კი ძალიან არ უნდა გაიბეროს, ამერიკა, ერთი ჩხვლეტით გახეთქავს.



კარლოს გამარა: სად არის ბალაკი?

REUTERS

## მატჩის შემდეგ

### რუდი ფიოლერი

*გერმანიის ნაკრების მწვრთნელი*

გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით, თუმც პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. თამაშის დასაწყობად მთელი საათი დაგვჭირდა, მანამდე კი არამიზანმიმართულად ვუტევდით.

მეორე ნახევრიდან ტემპს მოვუმატეთ, ბურთს წინ ბრმად აღარ ვურტყამდით, ვცდილობდით, თითოეულ პასს ადრესატი მოენახა. ჩვენს წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პარაგვაელები დაიღალნენ. ისინი ბოლოს ყრუ დაცვაზე გადავიდნენ, მაგრამ ერთი შეცდომა მაინც გაეპარათ.

ბევრჯერ მითქვამს, რომ მუნდიალზე ჩემპიონობის ამბიციით ნამდვილად არ ჩამოვსულვართ. მიზნად ნახევარფინალში მოხვედრა გვქონდა. ახლა კი ვხედავ, რომ მეტზეც შეიძლება ფიქრი. ვნახოთ, წინ უფრო სერიოზული მეტოქე გველის.

### ჩეზარე მალდინი

*პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი*

თანაბარი თამაში იყო. გატანის შანსები ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა. გერმანელები და ჩვენც შეტევის იარაღად მეტწილად ფლანგებს ვიყენებდით. გოლიც ხომ ფლანგიდან წამოწყებულ იერიშს მოჰყვა. ნოივილს მართლაც ლამაზად გამოუვიდა ყველაფერი.

გერმანიას მეტი პროფესიონალი ფეხბურთელი ჰყავს, მათ დღეს დიდი სამუშაო გასწიეს. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მაღალი კლასის გუნდთან წავაგეთ და არა რომელიმე სუსტთან. მეტოქემ ტიპიური გერმანული ფეხბურთი ითამაშა — ნაკლებად ტექნიკური და ძალისმიერი.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** თომას ლინკეს დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**მე-7 წუთი:** მიხაელ ბალაკის თავური კარს ასცდა.

**მე-13 წუთი:** მიხაელ ბალაკის შორეული უძლიერესი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**მე-18 წუთი:** მიხაელ ბალაკის საჯარიმო დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**მე-19 წუთი:** დენის კანისას უძლიერესად გასროლილმა ძელს ჩაუქროლა.

**მე-20 წუთი:** იენს იერემისს დარტყმა არ გამოუვიდა.

**21-ე წუთი:** ფრანსისკო არსეს საჯარიმო დარტყმა ოლივერ კანმა გაჭირვებით გააუვნებლა.

**27-ე წუთი:** მარკო ბოდემ კარს ააცილა.

**32-ე წუთი:** მიროსლავ კლოზეს შეუჩერებლად დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**34-ე წუთი:** ტორსტენ ფრინგსმა უზუსტოდ გაისროლა.

**36-ე წუთი:** სელსო აიალამ ვარდნაში ააცილა.

**37-ე წუთი:** ხორხე კამპოსს ოლივერ კანმა აუღო.

**43-ე წუთი:** დენის კანისამ 23 მეტრიდან ააცილა.

**47-ე წუთი:** ოლივერ ნოივილის კარგი პასი ბერნდ შნაიდერმა ვერ გამოიყენა.

**50-ე წუთი:** ხორხე კამპოსის დარტყმას ოლივერ კანი გაუმკლავდა.

**52-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერის საჯარიმო ოდნავ არაზუსტი იყო.

**54-ე წუთი:** მარკო ბოდეს თავური მეკარემ აიღო.

**56-ე წუთი:** ტორსტენ ფრინსის მოჭრილი დარტყმა კარს ასცდა.

**62-ე წუთი:** ოლივერ ნოივილის დარტყმულს ხოსე ლუის ჩილავერტი ნახტომში დაეუფლა.

**68-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ტორსტენ ფრინგსმა მცველი ჩამოიშორა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

**74-ე წუთი:** ხოსე ლუის ჩილავერტის საჯარიმო დარტყმა ცოცხალ კედელს მოხვდა.

**78-ე წუთი:** მიროსლავ კლოზეს თავური კარს ასცდა.

**83-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს მიროსლავ კლოზემ თავი დაჰკრა — არაზუსტად.

**88-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერის კარგი პასით ოლივერ ნოივილმა იხეირა — 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲙᲝᲠᲔᲐ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 2002 ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

## №50 ᲓᲐᲜᲘᲐ 0:3 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲜᲘᲘᲒᲐᲢᲐ (ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ). 16.30 „ᲜᲘᲘᲒᲐᲢᲐ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜ ᲑᲘᲒ ᲡᲐᲜ". 40 582 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

0:1 ფერდინანდი (5), 0:2 ოუენი (22), 0:3 ჰესკი (44)

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ მორტენ ოლსენი

1 სორენსენი

4 ლაურსენი 3 ჰენრიქსენი

6 ჰელვეგი 12 ნ. იენსენი

2 ტოფტინგი 7 გრავესენი

19 რომედალი 8 გრონქიაერი

9 ტომასონი 11 სანდი

11 ჰესკი 10 ოუენი

4 სინკლერი 8 სქოულზი 7 ბექემი

21 ბათი

3 ე. კოული 6 კემპბელი 5 ფერდინანდი 2 მილსი

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ სვენ გორან ერიქსონი

1 სიმენი

ᲨᲔᲪᲕᲚᲐ: ჰელვეგი – 20. ბოგელუნდი (7), ოუენი – 9. ფაულერი (46), სქოულზი – 23. დაიერი (49), ტოფტინგი – 14. ჯ. იენსენი (59), ჰესკი – 17. შერინგემი (69)

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ტოფტინგი (24), მილსი (50)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: მარკუს მერკი (გერმანია); ჰაინერ მიულერი (გერმანია), ევჟენ ამლერი (ჩეხეთი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 7 |
| 2 | თამაშგარე | 3 |

# ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲘᲓᲘᲐ

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** და დანიის ნაკრებთა მერვედფინალურ შეხვედრაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით, უცხო ენის ცოდნის აუ-კარგიანობაზე ფიქრით უნდა დავიწყოთ. ჩვეულებრივ, მოგეხსენებათ, ამბობენ, რომ სხვათა ენის შესწავლა სასარგებლოა, მაგრამ თურმე, გააჩნია რა შემთხვევაში. როგორც ჩანს, როდესაც დანიელი ხარ და ინგლისურ პრესას რეგულარულად კითხულობ — აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბრიტანული მასმედია ძალიან ძლიერია — გონებაში ყოველდღიურად გეწვეთება და გელექება, რომ მათი ნაკრების მძლეველი დედამიწის ზურგზე არავინ არის და მერე, როდესაც ამ ნაკრებს გადაეყრები, მოედანზე ფერმკრთალი დალასლასებ — გამარჯვებული შეხვედრის დაწყებამდე ცნობილია. ალბათ, სწორედ ინგლისურის ცოდნისა და ინგლისური კულტურის გავლენის გამოა ისიც, რომ დანიელი ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი პრემიერლიგის გუნდებში თამაშობს — აქ ნურც ლაზათიან ხელფასებს დავივიწყებთ — და ყველაფრის ერთად დაწყობით მივიღებთ, რომ 15 ივნისს, ნიიგატას „ბიგ სუანზე" მორალური თვალსაზრისით, დირექტორები მოჯამაგირეებს, უფროსი ძმები უმცროს ძამიკოებს, დიდი ბიჭები პატარა ბიჭებს ხვდებოდნენ.

ერთი სიტყვით, ინგლისმა ივარჯიშა და ისე გავიდა მეოთხედფინალში. თან, ფერმკრთალებმა მოწინააღმდეგეებს საკუთარი ხელით დაურიგეს საჩუქრები. გავიხსენოთ, მაგალითად, პირველი გოლი, რომელიც დანიელების კარში შეხვედრის დასაწყისშივე, მე-6 წუთზე გავიდა: კუთხური იყო, მარცხენა ფრთიდან დევიდ ბექემი აწვდიდა. ბურთმა კარის წინ შეჯგუფულ მოთამაშეებს და ცუდად გამოსულ მეკარე თომას სორენსენს გადაუფრინა და შორეულ ძელთან რიო ფერდინანდს თავურის სიმაღლეზე მიუვიდა. ფერდინანდმა, რომელიც იმ შორეულ ძელთან ისე ახლოს იყო, რომ კარში ვერ დაუმიზნებდა, სწორი ნაბიჯი გადადგა, ბურთი თავით კარის წინ ჩააგდო, სადაც, თუ გაუმართლებდა მისი თანაგუნდელი წაჰკრავდა ფეხს, მაგრამ თანაგუნდელი იქ არ იყო. სამაგიეროდ, იქ აღმოჩნდა შემობრუნებული მეკარე სორენსენი, რომელმაც ბურთის ხელში ჩვეულებრივად დაჭერის ნაცვლად მისი საკუთარ კარში ანუ ორი-სამი მეტრით უკან შეგდება მოახერხა.

ამ გოლმა დანიის ნაკრები საერთოდ მოსპო და ჩვენ ვიხილეთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც მოგება სჭირდება, მაგრამ ვერ უტევს, მოწინააღმდეგისთვის ბურთის წართმევა სჭირდება, მაგრამ ვერართმევს, გააქტიურება სჭირდება, მაგრამ ფეხს ვერ აჩქარებს.

კიდევ გაჭირვებულ კაცს ქვა ღმართში მეეწევაო, ნათქვამია — მე-7 წუთზე თომას ჰელვეგი დაშავდა და ის მითოლოგიური გვარ-სახელის კაცმა კასპერ ბოგელუნდმა შეცვალა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი ფიქრით, დანიელებს ეს მატჩი იმთავითვე წინასწარვე ჰქონდათ წაგებული და ამიტომ ჰელვეგის გასვლისთვის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება სწორად არ მიგვაჩნია, მაგრამ განწირულობის ნიშანი კი უთუოდ იყო. ისედაც მოკრძალებით მოთამაშე დანიას გალიზიანებაღა აკლდა.

ასე იყო თუ ისე, თამაში გაგრძელდა, ტემპს საშუალო თუ ეთქმოდა, დანიელების მოქმედებები უკვე შევაფასეთ, ინგლისელებისას კი ჭკვიანურსა და რაციონალურს თუ ვუწოდებდით — სწორედ ტაქტიკური სიბრძნე და რაციონალურობა გახლავთ ის თვისებები, ჩვენი აზრით, შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა რომ შემატა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონს.

შემდეგ კი მეორე და მესამე გოლებიც გავიდა. კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავილა იყო. ჯერ ტრევორ სინკლერის, ნიკი ბათისა და მაიკლ ოუენის კომბინაცია დასრულდა წარმატებით, შემდეგ კი დენი მილსის ჩაწოდებული აუტი ნიკლას იენსენმა ჩაჭრა და ბურთი ციმციმ მიართვა ბექემს, რომელმაც ემილ ჰესკის გაუგორა, ხოლო ჰესკის დარტყმული კარში შევარდა.

და ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა!

მეორეში? მოდი, ჩვენს ფეხბურთით ისედაც გადაღლილ გონებას ყველაფერზე ლაპარაკით ნუღარ გადავღლით.





რიო ფერდინანდმა ბურთი კარში შეაგდო, თავად კი კარს მიღმა გაგორდა

## ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

### ᲡᲕᲔᲜ ᲒᲝᲠᲐᲜ ᲔᲠᲘᲙᲡᲝᲜᲘ

*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

შესაძლოა, დანიისთვის სამი გოლის გატანა მეტისმეტიც კი იყოს, მაგრამ თამაშიდან გამომდინარე ამას ვიმსახურებდით. პირველ ნახევარში უკეთ გავისარჯეთ და ცოტა იღბალმაც შეგვიწყო ხელი. მთავარია, რომ მეოთხედფინალში გავედით, ახლა ამაზე უნდა ვიფიქროთ.

### ᲓᲔᲕᲘᲓ ᲑᲔᲥᲔᲛᲘ

ჩვენი ნაკრები მეტად ახალგაზრდულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმესი გვეშინია. მაღალ დონეზე რომ შეგვწევს თამაში, არგენტინასთანაც დავამტკიცეთ და დანიელებთანაც. ზოგ-ზოგიერთები იძახიან, რომ დევიდ სიმენი დაბერდა, ის კი შეუდარებლად თამაშობს და ამ მატჩშიც არაერთხელ გვიხსნა.

სწრაფმა გოლმა კარგად იმოქმედა, პირველი ტაიმი ჩვენი იყო. შემდეგ შეტევაზე ნაკლებს ვზრუნავდით და გამარჯვებამდეც იოლად მივედით. ასევე უნდა გავაგრძელოთ.

### ᲛᲝᲠᲢᲔᲜ ᲝᲚᲡᲔᲜᲘ

*დანიის ნაკრების მწვრთნელი*

გამართული ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ შეცდომების გამო წავაგეთ. პირველი გოლის შემდეგ ინგლისი დაცვაში ჩადგა და ერთ-ერთ კონტრშეტევაზე კვლავ შევცდით.

მეორე ტაიმიც ანალოგიური იყო, თამაში მიგვყავდა, თუმც გოლი მაინც ინგლისმა გაიტანა და ისევ ჩვენი შეცდომის შემდეგ ანგარიში 3:0 რომ გახდა, თამაშს აზრი დაეკარგა.

## ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ

**მე-5 წუთი:** დევიდ ბექემის კუთხურს რიო ფერდინანდის თავური მოჰყვა. მეკარემ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და — 1:0.

**მე-10 წუთი:** დევიდ ბექემმა კარგი პასი მისცა მაიკლ ოუენს, რომელსაც დარტყმა არ გამოუვიდა.

**მე-16 წუთი:** ემილ ჰესკიმ დანიელ მცველთა შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გავიდა — თომას სორენსენმა ივაჟკაცა.

**22-ე წუთი:** სინკლერი-ბათი-ოუენის ლამაზი კომბინაცია ლივერპულელის მეორე გოლით დასრულდა.

**27-ე წუთი:** ებე სანდმა თომას გრავესენის კარგი პასი ვერ შეიშნო.

**33-ე წუთი:** დევიდ ბექემმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ემილ ჰესკის მცველმა არ დაანება გატანა.

**38-ე წუთი:** დენის რომედალმა ებე სანდს გადააწოდა, რომელმაც კარს ააცილა.

**44-ე წუთი:** ემილ ჰესკიმ დევიდ ბექემის პასი გოლად აქცია.

**45-ე წუთი:** თომას გრავესენის უძლიერესი დარტყმა დევიდ სიმენმა კუთხურზე გადააგდო.

**47-ე წუთი:** იესპერ გრონქიაერმა კარს ააცილა.

**57-ე წუთი:** დევიდ ბექემის გასროლილი მეკარემ მოიგერია.

**58-ე წუთი:** სოლ კემპბელის თავური არაზუსტი გამოდგა.

**მე-60 წუთი:** ნიკლას იენსენის დარტყმულს დევიდ სიმენი გაჭირვებით გაუმკლავდა.

**66-ე წუთი:** ებე სანდის დარტყმული ემილ ჰესკიმ საკუთარ თავზე მიიღო.

**70-ე წუთი:** ტრევორ სინკლერის თავურმა მიზანს ვერ უწია.

**79-ე წუთი:** თომას გრავესენმა კარს ააცილა.

**მე-80 წუთი:** დევიდ ბექემს მეკარემ აუღო.

**83-ე წუთი:** კასპერ ბოგელუნდს დევიდ სიმენმა აჯობა.

**87-ე წუთი:** იესპერ გრონქიაერის დარტყმული არაზუსტი იყო.

**90-ე წუთი:** დენის რომედალმა კარს გადააცილა.





მარტინ ლაურსენმა ბექემის მკლავებში მოქცეული დენი მილსი დატუქსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002 მერვედფინალი

## №51 შვედეთი 1:2დ.დ. (1:1) სენეგალი

16 ივნისი. ოიტა (იაპონია). 11.30 „ოიტა სთადიუმ ბიგ აი". 39 747 მაყურებელი

1:0 ლარსონი (11), 1:1, 1:2 ა. კამარა (37, 104 ოქროს გოლი)




შეცვლა: პ. მ. დიოპი – 4. ბეიე (65), ოლბოკი – 22. ა. ანდერსონი (65), ალექსანდერსონი – 21. იბრაჰიმოვიჩი (76), მ. სვენსონი – 18. იონსონი (100)

გაფრთხილება: კოლი (73), ტიავუ (94)

მსაჯები: უბალდო აკინო (პარაგვაი);
მიგელ ჯაკომუცი (პარაგვაი), ექტორ ვერგარა (კანადა)

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 23 |
| 3 | კუთხური | 9 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 22 |
| 8 | კარში დარტყმა | 5 |
| 4 | თამაშგარე | 2 |


REUTERS ფოტოები

ანრი კამარას პირველი გოლი შვედთა ოცნების დასასრულის დასაწყისი იყო

# სენეგალისთვის, აფრიკისთვის, საფრანგეთისთვის

**პაატა კვანტალიანი**

**აფრიკული ფეხბურთი** კიდევ ერთხელ წარსდგა თავისი ბრწყინვალებით მსოფლიოს წინაშე. 12-წლიანი შესვენების შემდეგ შავი კონტინენტის წარმომადგენელმა მეორედ გააღწია პლანეტის უპირველესი საფეხბურთო ფორუმის მეოთხედფინალში და რა საოცარია, რომ ტრიუმფატორი არა კამერუნი, ან ნიგერიაა, არამედ, სენეგალი. პატარა სენეგალი, ძლივს რომ ემჩნევა მსოფლიოს რუკას, საფეხბურთო რუკაზე კი სულაც ორიოდე წლის წინ აღმოაჩინეს.

სენეგალი უკვე ამაყი და გამარჯვებულია. რჩეულთა ხვედრია, თავდადების, საქმის სიყვარულის, პატრიოტიზმის მაგალითი მოხდენილი ბრძოლით აჩვენოს. სენეგალმა ეს შეძლო. ფასდაუდებელია უცხოტომელი ბრუნო მეტიუს წვლილი ამ აფრიკული ქვეყნის წინაშე. მშვიდმა, გაწონასწორებულმა თმაკულულა ფრანგმა მსოფლიოს ახალი ქვეყანა გააცნო — ენთუზიაზმით და სიყვარულით დიდ საქმეს შეჭიდებული სენეგალი.

ტრიუმფისკენ სვლა სენეგალმა აფრიკის ახმაურებით დაიწყო, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური რომ მოიპოვა იქაურ „სიკვდილის ჯგუფში". აფრიკელებმა ყოველივე სენსაციად მონათლეს, მაგრამ მეტიუს ბიჭებმა მალე კიდევ ერთხელ დაალებინეს პირი სკეპტიკოსებს — მხოლოდ პენალტების სერიით დამარცხდნენ კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში კამერუნთან. ეს უკვე სერიოზული წარმატება იყო, თუმც სამუნდიალოდ ბევრი მაინც გარდაუვალ ფიასკოს უწინასწარმეტყველებდა მეტიუს გუნდს და რა მოხდა? სენსაცია საფრანგეთთან. მოდით, მეოთხედფინალში გასულ სენეგალელთა გზას გადავხედოთ და ვთქვათ, რომ აფრიკელების მიერ ფრანგთა დამარცხება სულაც არ ყოფილა სენსაცია, უბრალოდ, კონკრეტულ სიტუაციაში ერთი გუნდი მეორეზე ძლიერი აღმოჩნდა.


REUTERS ფოტოები

ტონი სილვამ ზლატან იბრაჰიმოვიჩს გატანა არ დაანება

კვირასაც ხომ ასე იყო. მიუხედავად სენეგალის შთამბეჭდაობისა, ფავორიტები შვედები იყვნენ, მაგრამ ცეცხლშენთებული შემართება რას დაგიდევს ფავორიტობას.

შვედეთი დიდი სკოლაა, წლობით დაგროვილი გამოცდილებაა, საფეხბურთო კულტურას შეზავებული დისციპლინაა. ალბათ, ბევრს ეგონა, მატჩის პირველი 15 წუთის შემდეგ ოთხი წლის წინანდელი სამერვედფინალო დანია — ნიგერია განმეორდებოდა, მით უფრო, რომ დროის ამ მონაკვეთში სკანდინაველებმა ჩვეული სხარტი პასების გაჭრაც მოასწრეს, დამუშავებული, გააზრებული კომბინაციით მეტოქის პანიკაში ჩაგდებაც და, რაც მთავარია, გოლიც გაიტანეს. გოლი, რომელიც ანდერს სვენსონის კუთხურიდან ჩაწოდებისას ლარსონის ალღომ და გონიერებამ შვა. ასე დაიწყო თამაში და მერე...

ამ თვალსაჩინო „სასწავლო-სამაგიდო" მატჩის მომენტების აღწერას არ ვაპირებ. თავად შეხვედრას ნახავდით და სხვა თუ არაფერი, შვედეთი — სენეგალის მატჩის სტენოგრამას აქვე გაეცნობით, სათქმელი ისაა, რომ აფრიკელებს ჰყავთ ჯადოქარი. ბურთთან შესისხლხორცებული, მისი ავანჩავანის მცოდნე ბიჭი ელ-ჰაჯი დიუფი. კვირას დიუფის შემხედვარეთ გამორიცხულია, ერთხელ მაინც არ დაგცდენოდათ აღტაცების შეძახილი. დიუფი მართლაც ბურთის ჯადოქარია და ამავ დროს თავზეხელაღებული ლიდერიც.

აფრიკელებს ჰყავთ ფერდინანდ კოლი, ბიჭი მოუღლელი და შეუპოვარი, სამი კაცის საქმის გაკეთება რომ ძალუძს მოედანზე. აფრიკელებს ჰყავთ პაპა ტიუვი — რაგინდარა პასის ხეირიანად მიმწოდებელი ფეხბურთელი, ჰყავთ ანრი კამარა, ეშხიანად გამხურებელი და საკუთარ თავზე საქმის ამღები ჯეელი და სხვაც ბევრი ჰყავთ, ჩვეულებრივი, მაგრამ ჭკვიანი კაცის დარიგებული შემსრულებლები. ეგებ ბევრს არც შეგიმჩნევიათ, მატჩის ძირითადი დროის გასრულების შემდეგ თუ რა ხდებოდა აფრიკელთა ბანაკში. უფრო სწორად, არაფერი ხდებოდა, მაშინ როდესაც დამატებითი დროის წინა სამზადისში ლარს ლაგერბეკი და ტომი სოდერბერგი ნერვიული ჟესტიკულაციით და ხმამაღალი შეგონებებით ცდილობდნენ ფეხბურთელების საბრძოლო ტონუსის ამაღლებას, ბრუნო მეტიუ კი საერთოდ არ გაკარებია თავის გუნდს და ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ფრანგ სპეციალისტს რჩეულ სენეგალელთათვის სათქმელი არაფერი ჰქონდა, აფრიკის პატარა ქვეყნის გუნდს „ოქროს გოლი" უკვე მოფიქრებული ჰქონდა...

თქვენთან ერთად მეც არ ვიტყოდი უარს ნახევარფინალში გასულ თეძოებათამაშებულ სენეგალელთა ეგზოტიკური ცეკვის ნახვაზე...

## მატჩის შემდეგ

### ბრუნო მეტიუ

*სენეგალის ნაკრების მწვრთნელი*

იღბალი არაფერ შუაშია. ყველაფერი კანონზომიერად მოხდა. თქვენ დიდი გუნდის დაბადების მომსწრენი ხართ.

ძალიან ლამაზი მატჩი იყო. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ორმაგი სიამოვნება მიიღეს. შვედეთი არ არის სუსტი გუნდი, მან ეს ჯგუფურ ეტაპზე დაამტკიცა, როცა ინგლისი და არგენტინა უკან მოიტოვა.

მეოთხედფინალი არ გვაშინებს. იქაც ლაღად ვითამაშებთ.

### ელ-ჰაჯი დიუფი

მე ვთამაშობდი სენეგალისთვის, აფრიკისთვის და საფრანგეთისთვის. ეს ნაღდ მეომართა ბრძოლა იყო, რომელიც მოვიგეთ.

კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ, რომ სენეგალი მხოლოდ საფეხბურთო ნაკრები არაა. ესაა ძმათა და მეგობართა გუნდი, რომელსაც წინსვლა და გამარჯვება სწადია. აქამდე ასე მოვედით და კვლავაც ასე ვივლით.

### ლარს ლაგერბეკი

*შვედეთის ნაკრების თანამწვრთნელი*

ვულოცავ სენეგალს, ძალიან კარგი გუნდია, ფიზიკურად ბრწყინვალედ მომზადებული ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, შვედეთი უკეთესი იყო. მეორე ტაიმში არაერთი კარგი შანსი გავანიავეთ. პირველ ტაიმთან შედარებით, მეორეში დაცვაც გამოვაკეთეთ, მაგრამ რად გინდა, გოლი ველარ გავიტანეთ. ამიტომაცაა ეს მარცხი მტკივნეული. თავს მეტად გამოფიტულად ვგრძნობ.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ტობიას ლინდეროტს მეკარემ აუღო.

**მე-4 წუთი:** ნიკლას ალექსანდერსონის დარტყმა ტონი სილვამ ფეხით მოიგერია, ანდერს სვენსონმა კი დამატებაზე ვერ ივარგა.

**მე-9 წუთი:** პაპე ბუბა დიოპმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

**მე-11 წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ჰენრიკ ლარსონის საგოლე თავური მოჰყვა.

**მე-16 წუთი:** ოუმარ დაფემ კარს ააცილა.

**მე-18 წუთი:** ალიუ სისეს 25 მეტრიდან დარტყმული კარს ასცდა.

**25-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპმა ელ-ჰაჯი დიუფის პასით გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა.

**32-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპის თავური არაზუსტი გამოდგა.

**37-ე წუთი:** ანრი კამარას ბრწყინვალე თამაში და საგოლე დარტყმა — 1:1.

**მე-40 წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფმა სამი მცველი მოატყუა, მაგრამ კარს ააცილა.

**41-ე წუთი:** ანრი კამარას თავური ოდნავ ასცდა კარს.

**42-ე წუთი:** ანდერს სვენსონს მეკარემ ნახტომში აუღო.

**43-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპმა თავით ვერ გაიტანა.

**45-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპის შორეული გასროლილი მაგნუს ჰედმანმა გაჭირვებით მოიგერია.

**52-ე წუთი:** მარკუს ოლბოკის კარგი დარტყმა მეკარემ გააუვნებლა.

**55-ე წუთი:** ჰენრიკ ლარსონს ტონი სილვამ აუღო.

**56-ე წუთი:** ფერდინანდ კოლი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მცველმა იყოჩაღა და ბურთი აართვა.

**57-ე წუთი:** მარკუს ოლბოკმა ანდერს სვენსონს დაუგდო, რომელმაც კარში ზუსტად ვერ დაარტყა.

**59-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**67-ე წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფის გასროლილი მაგნუს ჰედმანმა კუთხურზე მოიგერია.

**72-ე წუთი:** ანდრეას ანდერსონმა არაზუსტად დაარტყა.

**მე-80 წუთი:** ზლატან იბრაჰიმოვიჩს მეკარემ აუღო.

**88-ე წუთი:** ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ფეხი ბურთს ვერ მოარტყა.

**89-ე წუთი:** პაპე ტიავუს დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**92-ე წუთი:** ჰენრიკ ლარსონის ჩაწოდებულს ანდერს სვენსონმა ხეირიანად ვერ დაჰკრა.

**95-ე წუთი:** საჯარიმოში შესულმა ანდერს სვენსონმა მცველი მოატყუა და კარში დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა.

**104-ე წუთი:** ანრი კამარამ საჯარიმოს წინა ხაზთან ორი მცველი ჩამოიშორა და „ოქროს გოლი" გაიტანა — 2:1

# კორეა-იაპონია 2002
# მერვედფინალი

## №52 ესპანეთი 1:1დ.დ. (პენ. 3:2, 1:1) ირლანდია

16 ივნისი. სუვონი (კორეა). 16.30. „სუვონ უორლდ ქაფ სთადიუმ". 38 926 მაყურებელი

1:0 მორიენტესი (8), 1:1 კინი (90)
ჰარტმა ვერ გაიტანა პენალტი (62, მეკარე)
პენალტები: 0:1 კინი, 1:1 იერო, 1:1 ჰოლანდი (ხარიხა), 2:1 ბარახა,
2:1 კონოლი (მეკარე), 2:1 ხუანფრანი (ააცილა), 2:1 კილბეინი (მეკარე),
2:1 ვალერონი (ძელი), 2:2 ფინანი, 3:2 მენდიეტა




შეცვლა: სტონტონი – 4. კანინგემი (50), კელი – 17. ქუინი (55),
დე პედრო – 16. მენდიეტა (66), მორიენტესი – 14. ალბელდა (71),
რაული – 12. ლუკე (80), ჰარტი – 13. კონოლი (82)

გაფრთხილება: ხუანფრანი (62), ბარახა (88), იერო (90)

მსაჯები: ანდერს ფრისკი (შვედეთი);
ლეიფ ლინდბერგი (შვედეთი), იგორ შრამკა (სლოვაკეთი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 5 | კუთხური | 6 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 18 |
| 6 | კარში დარტყმა | 6 |
| 13 | თამაშგარე | 1 |

**გიორგი დარჯანია**

**უძველესი** ანეკდოტია, სტადიონზე მისული კაცი რომ იტყვის, ეს თამაში ნანახი მაქვსო. რაღაც ამდაგვარი თამაში იყო, ესპანეთს და ირლანდიას არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რაც მათგან ჯგუფურ ეტაპზე არ გვინახავს და კაცმა რომ თქვას, ანგარიშის გამოცნობაც არ იყო ძნელი. ახლა ვინმემ რომ არ იფიქროს, მატჩის მიმდინარეობის და ანგარიშის „პოსლეზე" გამოცნობაში ყველა ოსტატიაო, ციტატას მოვიყვანთ:

„...მე არ მაქვს ფერნანდო იეროს იმედი შორ გზაზე... ესპანელებს რთული მატჩი უნდა ელოდეთ ირლანდიელებთან. არა იმიტომ, რომ ირლანდია ძლიერია, არამედ, იმიტომ, რომ ირლანდიელთა მოთმინება და შანსის ლოდინის უნარი ამოუწურავია. შეტევაში ესპანეთს აქვს რამდენიმე დიდი კოზირი, ირლანდიას კი სულ ორი, საქვეყნოდ ცნობილი კოზირი: იან ჰარტის საჯარიმო დარტყმა და ნაილ ქუინის თავურს შეგებებული რობი კინის ფეხი...



ფერნანდო მორიენტესს (№9) და მის თანაგუნდელებს ამ გოლიდან პენალტების სერიამდე სახეირო არაფერი გაუკეთებიათ



იან ჰარტს ეს პენალტი რომ გაეტანა . . .

# გამოცხადებული შედეგის ქრონიკა

ირლანდია ფრეების ოსტატია, პლეი ოფში ფრეები არ არის. ფავორიტი, რა თქმა უნდა, ესპანეთია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ირლანდიელები მაინც იმ საფრეო თამაშს მიაწვებიან. სხვანაირად მათ არ ეხერხებათ. ესპანეთს ამოასუნთქებს სწრაფი გოლი, თუმცა ეს კიდევ არ იქნება თამაშის ბოლო".

„სარბიელის" მესვეტემ ეს ყველაფერი 13 ივნისს დაწერა და მეორე დღის „სარბიელში" დაიბეჭდა, თამაში კი 16 ივნისს იყო.

ყველაფერი ახდა — იეროთი შორს წასვლა ძნელია, სწორედ ესპანელთა კაპიტნისგან წესის დარღვევას მოჰყვა გამთანაბრებელი პენალტი და ერთხელაც მისი ხელით თამაში მსაჯს გამოეპარა. ესპანეთმა მართლაც გაიტანა სწრაფი გოლი, რაც კარლეს პუიოლის ჩაწოდებულს და ფერნანდო მორიენტესის თავურს მოჰყვა. ირლანდიელთა ყველა სახიფათო მომენტიც ქუინის თავურით და კინის ფეხიდან იქმნებოდა, მათი მოთმინების უნარზე ლაპარაკი ხომ არც ღირს...

და ისევ თავში ნათქვამს მივუბრუნდეთ — მატჩის მსვლელობის სამი დღის ადრე გამოცნობაში ნოსტრადამუსობა არაფერ შუაშია, უბრალოდ ორივე გუნდი ჯგუფურ ეტაპზე გაიშიფრა და მათგან სიახლის შეთავაზების იმედი ნაკლები იყო.

რაკი თამაში „ნანახი გვქონდა", სათქმელიც ბევრი არაფერია და სულ რამდენიმე მომენტზე შევჩერდეთ. სტატისტიკას თუ ჩახედავთ, ესპანელებს ექვსჯერ დაურტყამთ კარში, მაგრამ დარტყმაც არის და დარტყმაც — ამათგან სახიფათო მომენტს ორს თუ დავარქმევთ, ერთხელ რაულს აულო შეი გივენმა, მეორედ კი, დამატებით დროში, რუბენ ბარახას. ისე, რაული სულ ტყუილად იყო მოედანზე, შეიძლება ითქვას, იმისთვის, რომ მუდამ ოფსაიდში აღმოჩენილიყო. თანამსაჯმა ცამეტჯერ აწია ალამი ესპანელებზე და ეს ფაქტი რაულისა და მორიენტესის ცუდ თამაშზე მიგვანიშნებს. საბოლოოდ, ესპანელთა ორივე ფორვარდმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, მაგრამ რაიმე სახეირო მათ შემცვლელებს — დავიდ ალბელდასა და ალბერტო ლუკეს არ გაუხერხებიათ.

პირველ ტაიმში ირლანდიელები ნაკლებად იყენებდნენ თავის მთავარ კოზირს — თავით თამაშს, რისი მიზეზიც, ალბათ, ნაილ ქუინის არყოფნა იყო, ხოლო როცა ეს ფეხბურთელი კელის მაგიერ შევიდა, თამაშიც გამწვავა. გამოსარჩევია დემიენ დაფიც, ვინც მალიმალ აწუხებდა მეტოქეს და ერთხელ საპენალტედაც წაიქცა — ხუანფრანმა კი არ წააქცია, თავისით წაიქცა, არამი პენალტი კი იან ჰარტმა გააფუჭა.

სხვათა შორის, მატჩის წინ ირლანდიელები საგანგებოდ ვარჯიშობდნენ პენალტებზე. აკი მოგახსენეთ, ირლანდია ფრეების გუნდია, ხოლო პლეი ოფში ფრე არ შეიძლება. ამიტომაც პენალტებზე ვარჯიშში სწორედ რომ მართებული იყო. ერთი ეგაა, ვარჯიშით კი ივარჯიშეს, მაგრამ დარტყმა ეგრეც ვერ ისწავლეს. შვიდი პენალტიდან სამი კასილიასმა აიღო, ერთი ხარიხას მოხვდა და მხოლოდ სამმა უწია მიზანს.

თერთმეტმეტრიანები იდეალურად არც ესპანელებს შეუსრულებიათ — ხუანფრანმა ააცილა, ხუან კარლოს ვალერონმა კი ძელს გაუხახუნა, თუმცა მეოთხედფინალში გასასვლელად სამი გატანილიც საკმარისი იყო.

ისე, ირლანდია, ალბათ, ესპანეთზე მეტად იმსახურებდა მეოთხედფინალში თამაშს.

16 ივნისი. ამ დღეს მთელი ირლანდია სვამდა. დარდი და გაწბილება არაფერ შუაშია. ეს ტრადიცია ირლანდიელებს რა ხანია აქვთ. ჯეიმს ჯოისის „ულისეში" მოქმედება სწორედ ამ დღეს ხდება და მთავარი გმირის — ლეოპოლდ ბლუმის პატივსაცემად 16 ივნისს ირლანდიელები „ბლუმსდეის" უწოდებენ. სმის გარდა ამ დღეს ხალხი საჯაროდ კითხულობს ნაწყვეტებს „ულისედან".

ამ 16 ივნისს კი ირლანდიელები, ალბათ, ორჯერ მეტს დალევდნენ.

## მატჩის შემდეგ

### მიკ მაკარტი
*ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი*

ვამაყობ ამ მატჩით. წაგებას არ ვიმსახურებდით. თამაშის ბოლოს მეტოქეს ვაჯობეთ და უნდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ... მარცხში არავის ვადანაშაულებ. პირიქით, მადლობა ყველას, 22-ვე ფეხბურთელი გმირია, მათ ყველაფერი გაიღეს ამ მატჩის მოსაგებად.

ჩემპიონატიდან დაუმარცხებლად მივდივართ. ჩვენ წავაგეთ პენალტების სერია, რაც მხოლოდ და მხოლოდ ლატარიაა. იღბალი ესპანელებს ჰქონდათ, თამაშსაც ისინი აგრძელებენ. არავისი არ გვშურს, ჩვენ მეგობრული ხალხი ვართ, გვიყვარს ფეხბურთი და გამარჯვება. დღეს ეს ვერ შევძელით, მაგრამ ირლანდიაში მაინც ღიმილით ვბრუნდებით.

### ანტონიო კამაჩო
*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი*

მსაჯს არ უნდა დაენიშნა მეორე პენალტი. ამ დონის ტურნირზე თანაც 90-ე წუთზე, ასეთი უმნიშვნელო დარღვევისთვის თერთმეტმეტრიანი არ უნდა ინიშნებოდეს. მართალია, ირლანდიელებს მატჩის ბოლოს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ დამატებითი დრო მსაჯის დამსახურებაა.

თავიდანვე შეგვეძლო საქმის მოთავება. მრავალი მომენტი გავაცუდეთ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა ზედმეტია, წინ იტალიაა, ანაც კორეა. ორივე გუნდი ძლიერია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ვეთამაშებით.

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** რაული იდეალურ პასს აძლევდა ფერნანდო მორიენტესს, მაგრამ მცველმა ჩაჭრა.

**მე-3 წუთი:** რობი კინმა იოლად მოატყუა კარლეს პუიოლი და კარშიც დაარტყა — ოდნავ არაზუსტად.

**მე-4 წუთი:** ფერნანდო მორიენტესს შეი გივენმა აუღო.

**მე-8 წუთი:** კარლეს პუიოლის ჩაწოდებულს ფერნანდო მორიენტესის თავური მოჰყვა — 1:0.

**მე-15 წუთი:** მარკ კინსელამ კარს ააცილა.

**მე-17 წუთი:** რობი კინის 22 მეტრიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**მე-20 წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაზე გასულ რაულს სტივ სტონტონმა დაასწრო.

**25-ე წუთი:** ფერნანდო მორიენტესის პასით ლუის ენრიკემ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა.

**43-ე წუთი:** რობი კინის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**45-ე წუთი:** იან ჰარტმა არაზუსტად დაარტყა.

**47-ე წუთი:** რაულმა ქუსლით კარგი პასი მისცა ფერნანდო მორიენტესს, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა.

**50-ე წუთი:** იკერ კასილიასს გამოსვლაზე ბურთი ხელიდან გაუვარდა და კევინ კილბეინმა კარში დაარტყა. ფერნანდო იერომ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

**58-ე წუთი:** ფერნანდო იეროს დარტყმული კარს ზემოდან გადასცდა.

**63-ე წუთი:** დემიენ დაფის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იან ჰარტმა უხეიროდ დაარტყა — იკერ კასილიასმა იოლად მოიგერია. დამატებაზე კი კევინ კილბეინმა ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა.

**69-ე წუთი:** რაულის გოლი კვლავ თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა.

**72-ე წუთი:** რაულის სახიფათო დარტყმა შეი გივენმა გააუვნებლა.

**მე-80 წუთი:** დემიენ დაფმა რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და კარში დაარტყა — ოდნავ არაზუსტად.

**84-ე წუთი:** რობი კინს იკერ კასილიასმა აუღო.

**90-ე წუთი:** საჯარიმოში მყოფ ნაილ ქუინის წინააღმდეგ ფერნანდო იერომ დაარღვია წესი. რობი კინმა პენალტით ანგარიში გაათანაბრა.

**93-ე წუთი:** ნაილ ქუინის თავური მეკარემ გააუვნებლა.

**99-ე წუთი:** კევინ კილბეინმა იკერ კასილიასს ვერ აჯობა.

**108-ე წუთი:** რობი კინმა ოდნავ ააცილა კარს.

**111-ე წუთი:** რუბენ ბარახამ მიზანი ვერ გაისწორა.

**112-ე წუთი:** დევიდ კონოლის სახიფათო დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა კარს.



მექსიკელები ბრაიან მაკბრაიდის სწრაფმა გოლმა დაბნია

REUTERS

# ამერიკა, ამერიკა!...

## კორეა-იაპონია 2002 მერვედფინალი

## №53 მექსიკა 0:2 აშშ

17 ივნისი. ჯეონჯუ (კორეა). 11.30 „ჯეონჯუ ვორლდ კაპ სტადიუმ", 36 380 მაყურებელი

0:1 მაკბრაიდი (8), 0:2 დონოვანი (65)




შეცვლა: მორალესი – 15. ერნანდესი (28), ვიდრიო – 13. მერკადო (46), ვოლფი – 8. სტიუარტი (59), ტორადო – 8. ასპე (78), მაკბრაიდი – 13. ჯოუნსი (79), მასტროენი – 16. ლამოსა (90)

გაფრთხილება: პოუპი (26), ვიდრიო (36), მასტროენი (47), ვოლფი (50), ბერჰალტერი (53), ერნანდესი (67), ბლანკო (70), ასპე (81), ფრიდელი (83), კარმონა (84)

გაძევება: მარკეში (88)

მსაჯები: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია); კარლუშ მატუში (პორტუგალია), ეგონ ბერიუტერი (ავსტრია)

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 6 | კარში დარტყმა | 6 |
| 5 | თამაშგარე | 1 |

**სოლომონ ბულიაშვილი**

**კვირას** აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი მექსიკელი კოლეგა ვინსენტ ფოქსი ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ. თეთრი სახლის პრეს-სამსახურის ცნობით, პრეზიდენტები ორშაბათის მატჩსაც გადასწვდნენ და გამარჯვება იმ ნაკრებს უსურვეს, ვინც უკეთ ითამაშებდა. უკეთ ამერიკელები გაირჯნენ და თავისი ქვეყნის პირველი პირიც ერთობ გაახარეს, ვინაც ეს უქმეები კროუფორდში, თავის რანჩოზე გაატარა.

ჩრდილოამერიკული მერვედფინალი კი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად გაიმართა. თამაშის მსვლელობისას ოკეანის გაღმა შუაღამე იყო და ვინძლო, ბევრ ამერიკელს თავისიანთა გმირობის ამბავი ცოცხლად ვერც ენახა, მაგრამ ბრიუს არენასა და მისი ბიჭებისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან ტრიბუნებზეც ბლომად ქომაგი ჰყავდათ.

მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ჩინებულად იცნობდნენ, შესარჩევ თუ ამხანაგურ მატჩებში ხომ ისინი თითქმის ყოველ წელიწადს ხვდებიან. ისტორიული უპირატესობა, ცხადია, მექსიკელთა მხარესაა, მაგრამ ბოლო წლებში ამერიკული ფეხბურთი უზარმაზარი ნაბიჯებით წავიდა წინ. ეს ამ ჩემპიონატზეც და კონკრეტულად გუშინდელ შეხვედრაშიც გამოჩნდა. დღეს აშშ-ის ეროვნული გუნდი გაცილებით ძლიერია, ვიდრე თუნდაც ოთხი წლის წინ საფრანგეთის მუნდიალზე იყო.

რატომღაც დღემდე ითვლება, რომ ევროპული გუნდები ტაქტიკური განსწავლულობით კვლავაც ოკეანისგაღმელებზე წინ არიან. ამერიკელები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, რაც უპირველესად სახელმწიფო დონეზე აყვანილი საფეხბურთო პროგრამის და მწვრთნელ ბრიუს არენას დამსახურებაა, ვინაც გუნდში უკვე მეოთხე წელიწადია მუშაობს. თუ ადრე ამერიკელის ევროპულ კლუბში გამოჩენა რაღაც ეგზოტიკური მოვლენა იყო, დღეს მათი ნაკრების ნახევარი ბებერ კონტინენტზე თამაშობს, 25 წლის ნიუიორკელი კლინტ მეტისისთვის კი უკვე ბობოლებსაც დაუდგამთ თვალი.

და მაინც, წყვილის ფავორიტად მექსიკას მიიჩნევდნენ, რომელმაც ჯგუფში კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. „ახლა მექსიკის ნაკრები კარგ ფორმაშია, თუნდაც იტალიელებთან მათი მატჩი გავიხსენოთ — ამბობდა ამერიკელთა ნახევარმცველი კლაუდიო რეინა — თუმცა ხავიერ აგირეს ბიჭებს ჩინებულად ვიცნობთ და არაფერს დავუთმობთ. ვფიქრობ, კარგი თამაში იქნება."

ლამაზი თამაშის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერიკელებმა მოწინააღმდეგე კონტრშეტევებით მოგუდეს. არენამ პოლონელებთან წაგებული მატჩის შემდეგ შემადგენლობა გადაახალისა. დისკვალიფიცირებული ფრენკი ჰეიდუკი გრეგ ბერჰალტერმა შეცვალა, დაშავებული ჯეფ აგოსი პაბლო მასტროენიმ, კლინტ მეტისი ჯოშ ვოლფმა, ხოლო ერნი სტიუარტი ედი ლუისმა.

თავიდან ამერიკელებს გაუმართლათ, უკვე მე-8 წუთზე მექსიკელებმა ყველა ვერ მიადევნეს ბრაიან მაკბრაიდს და „კოლუმბუს ქრიუს" ფეხბურთელმა მეკარე პერესს უპრობლემოდ გაუტანა. მერე „აცტეკები" ბევრს უტევდნენ, თუმცა სიმწყობრე და მიზანმიმართულობა აკლდათ, ერთხელ კუაუტემოკ ბლანკომ მეკარე ფრიდელის შეცდომა ვერ გამოიყენა და ხელსაყრელი მომენტიც დაიკარგა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა, მექსიკელებს არც წინა ჩემპიონატის გმირის, ლუის ერნანდესის მოედანზე ყოფნამ უშველა. 33 წლის შემტევი აშკარად არ იყო ფორმაში. ერთხელ მსაჯს პენალტის დანიშვნაც შეეძლო, როცა ამერიკელთა მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა.

დრო გადიოდა და ნათელი ხდებოდა, რომ მექსიკელთა დაწოლას შედეგი თუ არ მოჰყვებოდა, ამერიკელები კიდევ გაიტანდნენ. ასეც მოხდა, ერთ-ერთი სწრაფი კონტრშეტევისას არენას ბიჭებმა აშკარად ვარჯიშზე დამუშავებული კომბინაცია შეასრულეს, რომელიც ლანდონ დონოვანის ზუსტი თავურით დამთავრდა.

ბოლოს ეტყობა, ისტორიული წყენაც გაახსენდათ და მექსიკელებმა უხეშობას უმატეს, შედეგად მსაჯმა მათი კაპიტანი რაფაელ მარკეში გააძევა. მოედანზე კი არაფერი შეცვლილა, ამერიკამ მოიგო და მეოთხედფინალში გერმანიას შეხვდება.

## მატჩის შემდეგ

### ბრიუს არენა
*აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი*

ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რითაც ძალიან ვამაყობ.

ეს დიდი დღეა ამერიკული ფეხბურთისთვის. პოლონელებთან მარცხის შემდეგ ყურადღების კონცენტრირება რთული იყო. არ მეგონა, ფსიქოლოგიური ტრავმის მერე ასე კარგად თუ ვითამაშებდით.

მექსიკა ძალიან გამოცდილი გუნდია. შეიძლება ითქვას, მისი სიძლიერე ჩვენზე კარგად არავინ იცოდა. სწორედ მათთან შესარჩევ ეტაპზე თამაშის გამოცდილება დაგვეხმარა დღევანდელ გამარჯვებაში.

პარასკევს ძნელი მატჩი გველის გერმანელებთან. მათ ამ ტურნირში ყველა აალაპარაკეს, მაგრამ მოგების შანსი გვაქვს. ჩვენ ხომ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, პორტუგალია დავამარცხეთ. რატომ არ უნდა შევძლოთ იგივე გერმანელებთან?

### ხავიერ აგირე
*მექსიკის ნაკრების მწვრთნელი*

არ გაგვიმართლა, ისეთ მომენტებში გავუშვით გოლები, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით. როცა ინიციატივა მოვიპოვეთ, სწორედ მაშინ გვიმუხლთა მსაჯმა. ამერიკელმა ხელით ითამაშა, არბიტრმა ეს ვერ ან არ დაინახა. სტადიონის ეკრანზე კი ყველაფერი კარგად ჩანდა.

ამერიკელებს ნაღდი თამაში არ სურდათ და ჩვენც ხელს გვიშლიდნენ. მათ ორი გოლი გაიტანეს და დადგნენ, სამწუხაროა, რომ მეოთხედფინალში ისინი ითამაშებენ და არა ჩვენ.

## სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** კუაუტემოკ ბლანკოს სახიფათო დარტყმა კარს ასცდა.

**მე-8 წუთი:** რეინა-ვოლფი-მაკბრაიდის ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია პირველი გოლით დაგვირგვინდა.

**მე-16 წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა რამონ მორალესმა მცველი მოატყუა, მაგრამ კარში არაზუსტად დაარტყა.

**26-ე წუთი:** კუაუტემოკ ბლანკოს ძლიერი დარტყმა მეკარემ ნახტომში გააუვნებლა.

**36-ე წუთი:** კუაუტემოკ ბლანკოს ბრედ ფრიდელმა აუღო.

**37-ე წუთი:** ჯოშ ვოლფის სახიფათო დარტყმულს ოსკარ პერესი გაუმკლავდა.

**52-ე წუთი:** ბრაულიო ლუნას საჯარიმო დარტყმა მეკარემ იოლად აიღო.

**მე-60 წუთი:** ხერარდო ტორადომ არაზუსტად გაისროლა.

**62-ე წუთი:** ბრაულიო ლუნას საჯარიმო კარს ასცდა.

**65-ე წუთი:** გრეგ ბერჰალტერმა საჯარიმოში ჩააწოდა, ლანდონ დონოვანმა ბურთს თავი დაუხვედრა და — 2:0.

**69-ე წუთი:** ჯონ ობრაიენმა კარს ააცილა.

**70-ე წუთი:** რაფაელ მარკეშის თავური არაზუსტი გამოდგა.

**72-ე წუთი:** ერნი სტიუარტმა ოდნავ ააცილა კარს.

**73-ე წუთი:** სალვადორ კარმონას სახიფათო დარტყმა ბრედ ფრიდელმა მოიგერია.

**76-ე წუთი:** ერნი სტიუარტის გასროლილმა მიზანს ვერ მიაღწია.

**90-ე წუთი:** კობი ჯოუნსის ჩაწოდებულს ლანდონ დონოვანის უხეირო დარტყმა მოჰყვა.



REUTERS

ბურთს ხარედ ბორგეტის თავის ნაცვლად ბრედ ფრიდელის მუშტი მოხვდა




მბო მპენზა მარკოსს საგოლედ ვერ გადაახტა

# კორეა-იაპონია 2002
## მერვედფინალი

## №54 ბრაზილია 2:0 ბელგია

17 ივნისი. კობე (იაპონია). 16.30 „კობე ვინგ". 40 440 მაყურებელი

1:0 რივალდო (67), 2:0 რონალდო (87)




შეცვლა: ჟუნინიო – 17. დენილსონი (57), პეეტერსი – 9. სონკი (73), რონალდინიო – 15. კლებერსონი (81), რივალდო – 7. რიკარდინიო (90)

გაფრთხილება: ვანდერეგე (24), რობერტო კარლოსი (28)

მსაჯები: პეტერ პრენდერგასტი (იამაიკა); იური დუპანოვი (ბელარუსი), მოჰამედ საიედი (მალდივეთი)

| | | |
|---|---|---|
| 14 | კარიმა | 17 |
| 6 | კუთხური | 7 |
| 14 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

# რივალდონ რონალდონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პაატა კვანტალიანი**

**მიუნისკენ** სავალმა კიბემ ბრაზილიელთათვის გუშინ იაპონურ კობეზე გაიარა. „დიდი ფილის" ბიჭებმა ბეჯითი ბელგიელები ჩამოიშორეს გზიდან. სათამაშო რგოლებგაწყვეტილმა სამხრეთამერიკელებმა შეუდარებელი რონალდოს და მოღლილი რივალდოს გოლებით გატეხეს ბებერი ვასეჟის მიერ მკაცრად დამოძღვრილი ბენილუქსელები. შედეგად, დიდებული და დრამატული მეოთხედფინალური მატჩი გველის: ბრაზილია — ინგლისი.

ინგლისმა გუშინ მომავალ მეტოქეს უყურა, უყურა და გულში ბელგიას უქომაგა — ბელგიას, რომელმაც უკომპლექსოდ, მწყობრად დაიწყო თამაში. ბრაზილიელთა სწრაფ გოლზე ლაპარაკიც არ ყოფილა. მეტიც, ვილმოტსი და კომპანია ბურთის გორებით გაუშინაურდა მეტოქის ნახევარს და პირველივე წუთზე ჯანიანმა მბო მპენზამ ბრაზილიის მაისურის ფერი აჰკიდა სამხრეთელთა ქომაგს. შავკანიანმა ფორვარდმა კარიდან წინ გამოსულ მარკოსს ჰკიდა თვალი და მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ ბრაზილიელმა იყოჩაღა და მეტოქე კუთხურსღა დააჯერა.

საპასუხოდ ჟუნინიომ და რობერტო კარლოსმა დაახუხეს შორიდან, მაგრამ ორივეს მიზანმა უმტყუნა, მერე კი გერტ ვერჰეინმაც გააცუდა თავური და ბრაზილიამ შეტევაში გადასვლა სცადა.

ჩინებული იყო ტექნიკურად დახვეწილი, სწრაფი რონალდოს ჩახვეული დარტყმა, ორი მცველის გამბითურებელ რონალდინიოს პასს რომ მიაყოლა, მაგრამ ბრაზილიელთა ის შეტევა და მომდევნო სახიფათო მომენტები უფრო ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო, ვიდრე მწყობრი, გააზრებული შეტევისა. ბელგიამ კი არადა არ აილო მოკლე პასებით ბურთის ზუსტად გორებაზე ხელი და 20-ე წუთისთვის ვასეჟის გუნდმა ნახევარდაცვაში თვალში საცემი უპირატესობა მოიპოვა. რონალდოს მორიგ გაქცევამდე მპენზამ გააცუდა თავური, მერე კი რონალდომ უხადო ფლანგური პასით ჩაძინებული რივალდოც გამოაფხიზლა და ამან ეფექტური „მაკრატელათი" სცადა ბელგიელთა დამწუხრება, თუმც ბურთი კარს გადასცდა. მალე ვილმოტსმა მოხდენილი თავურით გოლიც შეაგდო, მაგრამ პიტერ პრენდერგასტის გადაწყვეტილება საკამათო იყო — თემიდელმა წესის დარღვევა დააფიქსირა ბელგიელზე.

მატჩის ამგვარი სცენარი არახელსაყრელი იყო ბრაზილიელთათვის და ისევ რონალდომ გამოიდო თავი, სასწაულებრივ დატოვა უსაქმოდ ორი მეურვე, მაგრამ ბოლო წამს თავგანწირულად ჩაწოლილ მეკარეს ვერ აჯობა. ტაიმის ბოლო წუთზე კი რონალდინიო დატრიალდა ჯარასავით, სამ მცველს უპრობლემოდ გასცდა, თუმც საგოლედ შემართულს ჯეკი პეეტერსმა ფეხით დაუფარა.

მეორე ტაიმი პირველზე მოულოდნელად დაიწყო. 15 წუთის განმავლობაში ბელგიელებმა სახელოვან მოწინააღმდეგეს ფაქტობრივად ბურთი დაუმალეს. მარკოსის ჯადოქრობამ ორჯერ იხსნა ფავორიტი გოლისგან — ჯერ ვილმოტსს აული თავგანწირული ნახტომით, მერე კი საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შეჭრილ მპენზას არ დაანება გატანა.

ბრაზილიელები სასწაულებრივ გადარჩნენ 63-ე წუთზეც — უსახური ედმილსონი ბავშვივით გააბითურა მუხლმაგარმა ვილმოტსმა, მაგრამ მარკოსმა „მკვდარი" ბურთის აღება შეძლო.

საბრაზილიო დარი ოთხ წუთში დადგა. შესაძლებლობის ზღვარზე მოთამაშე ბელგიელები გატყდნენ და რონალდინიომ ფლანგიდან ჩინებული პასი ჩაუხვია რივალდოს. ამანაც მკერდით ჩამოიღო ბურთი და ნახევარბრუნით საგოლედ გაისროლა. მერე კი სამეოთხედფინალოდ გამზადებული ბრაზილია დაცვაში ჩაჯდა, შეცვლაზე შესულმა უესლი სონკმა თავისიანთა თამაში გაამწვავა, მაგრამ სამხრეთამერიკელები მწყობრად იცავდნენ თავს.

„დიდმა ფილმა" ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა, რონალდინიოს ნაცვლად კლებერსონი ჩართო თამაშში და ბოლო წუთებში კონტრშეტევაზე ფავორიტმა თავისი კლასის დამტკიცება მეორედ შეძლო — ორშეხებიან სწრაფ იერიშს კლებერსონის დიაგონალური პასი და რონალდოს ერთი შეხებით გატანილი მეორე გოლი მოჰყვა.

## სტენოგრამა

**პირველი წუთი:** მბო მპენზას 22 მეტრიდან დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**მე-6 წუთი:** ჟუნინიოს დარტყმული არაზუსტი იყო.

**მე-10 წუთი:** რობერტო კარლოსის უძლიერესი საჯარიმო კარს ასცდა.

**მე-12 წუთი:** ჟუნინიომ კარგი პასი მისცა რონალდოს, რომელსაც გერტ დე ფლიგერმა აჯობა.

**მე-15 წუთი:** გერტ ვერჰეინის თავური არაზუსტი გამოდგა.

**მე-19 წუთი:** რივალდო-რონალდინიო-რონალდოს სამსვლიანი კომბინაცია რონალდოს მოჭრილი დარტყმით დასრულდა. ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

**23-ე წუთი:** რონალდოს ბრწყინვალე პასით რივალდომ ვერ იხეირა — კარს ააცილა.

**26-ე წუთი:** მარკ ვილმოტსის ვარდნაში დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**36-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე მარკ ვილმოტსმა მცველს აჯობა და თავური გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ბელგიელი დააჯარიმა.

**37-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა რონალდომ ორი მცველი ჩამოიშორა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. მისი დარტყმულის მოგერიება გერტ დე ფლიგერმა შეძლო.

**მე-40 წუთი:** რივალდოს ჩაწოდებულს რონალდომ ვარდნაში ოდნავ არაზუსტად დაჰკრა.

**45-ე წუთი:** რონალდინიომ სამი მცველი მოატყუა და ხელსაყრელ პოზიციაში გავიდა. მისი დარტყმული მცველს მოხვდა და მეკარე იოლად დაეუფლა.

**53-ე წუთი:** მარკ ვილმოტსს მარკუსმა ნახტომში აუღო.

**55-ე წუთი:** მბო მპენზას მეკარემ დაასწრო და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

**61-ე წუთი:** რივალდოს 25 მეტრიდან დარტყმული კარს ასცდა.

**63-ე წუთი:** მარკ ვილმოტსმა ედმილსონი იოლად მოატყუა და კარში დაარტყა — მარკოსმა იყოჩაღა.

**67-ე წუთი:** რონალდინიოს პასი რივალდომ დაამუშავა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა.

**72-ე წუთი:** მბო მპენზამ 15 მეტრიდან კარს ააცილა.

**73-ე წუთი:** უესლი სონკმა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

**75-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს რონალდინიოს ლამაზი, მაგრამ არაზუსტი მაკრატელა მოჰყვა.

**77-ე წუთი:** უესლი სონკის შორეული დარტყმა კარს ასცდა.

**მე-80 წუთი:** უესლი სონკს მეკარემ აუღო.

**85-ე წუთი:** მეკარესთან მარტოდ დარჩენილმა ბარტ გოორმა ბურთს თავი ვერ მიარტყა და რეალური შანსი ვერ გამოიყენა.

**87-ე წუთი:** კლებერსონის განივი პასი რონალდომ მეორე გოლით დააგვირგვინა.

**90-ე წუთი:** მეკარესთან პირისპირ გასულმა ბარტ გოორმა უხეიროდ დარტყა

## მატჩის შემდეგ

### ლუიშ ფელიპე სკოლარი
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

თამაშამდე ბიჭები ღელავდნენ, მაგრამ მატჩი დაიწყო თუ არა, ყველაფერი კალაპოტში ჩაჯდა. ფეხბურთელები ყოველი ბურთისთვის, ყოველი მტკაველისთვის იბრძოდნენ, მათ ეს გამარჯვება დაიმსახურეს.

ვიცოდით ბელგიელთა თამაშის სტილი, ამისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით. ედმილსონი მესამე ცენტრალურ მცველად გავამწესეთ, რათა მეტოქისთვის სივრცე შეგვეზღუდა. შეტევაში კი რონალდოს ორი მეურვე სჭირდება, რამაც სხვებს ხელფეხი გაუხსნა.

ახლა დავისვენებთ. ინგლისზე ლაპარაკი ჯერ არ მსურს.

### რობერ ვასეჟი
*ბელგიის ნაკრების მწვრთნელი*

ვფიქრობ, მსაჯის შეცდომამ თამაშის შედეგზე იმოქმედა. მარკ ვილმოტსის გოლი არ ჩაგვითვალეს და რომ არა ეს მცდარი გადაწყვეტილება, ანგარიში ყველასთვის მოულოდნელი იქნებოდა. მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია, რა ვუყოთ.

ბრაზილიელთა დაცვის გარღვევა რთული არაა, მათ ეს რგოლი დასახვეწი აქვთ. მატჩი კი რივალდომ მოიგო.




რივალდომ გოლამდე ერთი ლამაზი მაკრატელაც შეასრულა


ფილიპ ტრუსიე თურქებს ნიგერიული გამოცდილებით დაუხვდება

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. მერვედფინალი. №55
## თურქეთი — იაპონია

ღღეს. მიიაგი (იაპონია). „მიიაგი სთადიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| რუშთუ, ფათიჰი, ბიულენთი, ალფაი, უნსალი, დავალა უმითი, თუგაი, ერგუნი, ბაშთურქი, ჰასან შაში, ჰ. შუქური | ნარაზაკი, მაცუდა, მიამოტო, კ. ნაკატა, მიოინი, ინამოტო, ტოდა, ონო, ჰ. ნაკატა, სუზუკი, იანაგისავა |
| მწვრთნელი: შენოლ გიუნეში | მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე |

**მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**

# ხოშ გელდი, ძმაო, შენ ხარ მელოტი
## მთელი ცხოვრება ამას ველოდი

**ორივე გუნდისთვის** ეს მეორე მსოფლიოს ჩემპიონატია. მერვედფინალში გასვლა ორივემ პირველად შეძლო. მეოთხედფინალში ერთი უნდა გავიდეს და გამარჯვებულისთვის ეს უდიდესი წარმატება იქნება.

აქამდე ჩემპიონატების მასპინძელი გუნდები ჯგუფიდან გაღწევას ყოველთვის ახერხებდნენ. იგივე იაპონიამაც შეძლო. რადგან შეძლო, მადაც გაეხსნა. ახლა იაპონელები ფიქრობენ, რომ მეტიც შეუძლიათ.

იუნიჩი ინამოტოს ნახევარფინალი ელანდება: „თუ ასე გავაგრძელებთ, მოსალოდნელია, ნახევარფინალშიც ვითამაშოთ."

ტაკაიუკი სუზუკის საინტერესო რამ აღმოუჩენია: „ოპტიმიზმი შეგვემატა. როგორც ვხედავ, ძლიერი გუნდის დამარცხებაც არ ყოფილა წარმოუდგენელი ამბავი და ამბიცია მოგვემატა." სუზუკიმ, თურქეთის ნაკრების სტილს არ ვიცნობ, თუმც სერიოზული მეტოქე რომ იქნება, ეჭვი არ მეპარებაო.

„არსენალის" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა, რომელსაც იაპონიაში უმუშავია, თავისი პროგნოზი გააკეთა: „თურქებს, ჰაქან შუქურით და ჰასან შაშის სახით ანგარიშგასაწევი ძალა ჰყავთ, ოღონდ მე მაინც ვფიქრობ, იაპონელები მოიგებენ."

ჰიდეტოში ნაკატამ მოწინაალმდეგე უბრალოდ, შეაქო: „თურქეთის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია."

ოსმალოთა სამზარეულოში მცირე არეულობაა. სეულიდან მიიაგში გადაფრენისას თვითმფრინავი საჰაერო ორმოში ჩავარდნილა და ფეხბურთელები ოდნავ შეშინებულან. სასტუმროში დაბინავებულებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუქ ულუსოიმ მიაკითხა და დააწყნარა — დამშვიდდით, მხოლოდ მატჩზე იფიქრეთო.

თურქებს დასამშვიდებლად უკეთესი რეცეპტი უკვე „გამოუწერეს". მერვედფინალში გასულებს სამშობლოდან მეუღლეებმა ჩააკითხეს. უცოლოებს კი საცოლეები გაუგზავნეს, თქვენ რაღა დააშავეთო.

შენოლ გიუნეშმა თანამემამულეებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა: „მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის ახალი ხილია. ასეთ დროს გამოცდილება, რომელიც არ გვაქვს, ბევრს ნიშნავს, ამიტომ გულშემატკივრებს და მასმედიას ვთხოვ, გვერდში დაგვიდგნენ. ისინი მხოლოდ შედეგს ითხოვენ, სტილით ნაკლებად აინტერესებთ. ვითამაშებთ იმას, რაც ვიცით. იაპონელთა დასამარცხებლად ძალა ნამდვილად შეგვწევს."

თურქ ფეხბურთელთა საერთო აზრი ასეთია: აქ სათამაშოდ და გამარჯვებისთვის ჩამოვედით. ყველაფერს გავაკეთებთ რაც შეგვიძლია, რათა მეოთხედფინალში გავიდეთ. მოვიგებთ და ისტორიაში ახალ ფურცელს გადავშლით. მთელ ქვეყანას კიდევ ერთხელ გამოვყრით ქუჩებში საზეიმოდო.

იაპონელები განსაკუთრებით ჰასან შაშს უფრთხიან. იქაური ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, თურქთა სტილი გაურკვეველიაო.

ფილიპ ტრუსიეს მოწინაალმდეგის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად ძველი ნაცნობები შეუწუხებია. თავის დროზე ტრუსიე შვიდი თვის განმავლობაში ნიგერიას წვრთნიდა. ნიგერიელ დანიელ ამოკაჩის კი „ბეშიქთაშში" უთამაშია და თურქული ფეხბურთის ავან-ჩავანიც იცის, სწორედ მას სთხოვა დახმარება ფილიპ ტრუსიემ და კონსულტაცია გაიარა.

შენოლ გიუნეშს ერთი კაცი, ემრე ბელოზოღლუ დააკლდება. მის ნაცვლად ოქან ბურუქს ან ერგუნ პენბეს ათამაშებს. ემრე კი ორი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს ღღევანდელ მატჩს.

მთავარი მაინც სულ სხვაა. ბრაზილიის შემდეგ ოსმალონი მსაჯობას უჩიოდნენ. მერე, კოსტა რიკასთან, არბიტრის გამოცვლაც კი ითხოვეს, ბენიელმა ფეხბურთისა რა იცისო. ღღეს იაპონია — თურქეთს მსაჯთამსაჯი პიერლუიჯი კოლინა განსჯის. კოლინას დანიშვნა ფიფას მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის ჩარევით მოხდარა. თავმჯდომარე კი თურქი შენეს ერზიკი გახლავთ.

ამ ამბავს მთელი თურქეთი ტაშის გუგუნით შეეგება. რატომ? ამისთვის ცხრა მიზეზი არსებობს. აქამდე კოლინას თურქთა მონაწილეობით 9 მატჩი უმსაჯია, სამი სანაკრებო, ექვსი კი საკლუბო დონეზე. ამათგან თურქებმა შვიდჯერ მოიგეს, ორი კი ფრედ დასრულდა, ანუ ჯერაც არ წაუგიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. მერვედფინალი. №56
## ს. კორეა — იტალია

ღღეს. დაეჯონი (კორეა). „დაეჯონ უორლდ კაფ სთადიუმ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ვ. ლი, ჩ. სონგი, ჯ. ჩოი, ჰონგი, ტ. კიმი, პარკი, იოო, ნ. კიმი, ი. ლი, ჰვანგი, სეოლი | ბუფონი, პანუჩი, ნესტა (ან იულიანო), მალდინი, კოკო, ძამბროტა, ძანეტი, ტომაზი, ტოტი, ვიერი, დელ პიერო (ან ინძაგი) |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი | მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი |

**მსაჯი: ბაირონ მორენო (ეკვადორი)**

# ჰვანი თუ ჰვანგი?
## იტალიას ალმაცერად ნუ შეხედავთ

**კორეელებს** ძლევამოსილი იტალიის დასამარცხებლად და მეოთხედფინალში ესპანეთთან თამაშის უფლების მოსაპოვებლად მთელი ფანტაზიის მოკრება მოუწევთ, სხვანაირად არაფერი გამოვა. კი ბატონო, მართალია, რომ „სკუადრა აძურას" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავი ფურცელი კორეელების, ოღონდ ჩრდილოკორეელების ჩაწერილია — 1966 წელს, პირველ ეტაპზე, მათ 1:0 სძლიეს ამბიციურ ევროპელებს. ისიც მართალია, რომ მაშინდელ კომუნისტ კორეელებთან შედარებით ღღევანდელი კაპიტალისტი კორეელები გაცილებით მაღალი კლასის, შინაარსიან ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ გააჩერეთ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერი ფერის, ერის და სქესის გამვლელი და ჰკითხეთ, იქნება თუ არა ღღეს მასპინძელთა მიერ სტუმრების დამარცხება სენსაციური შედეგი და ნახავთ!

მაშ, კორეა? კორეამ მართლაც დაამტკიცა, რომ სერიოზული გუნდია, ჯგუფში პოლონეთს და პორტუგალიას სძლია, აშშ-სთან კი ფრედ ითამაშა, მაგრამ მოდით ნუ გადავაჭარბებთ, საყოველთაო აზრით, იტალიის ნაკრების ზემოჩამოთვლილ გუნდებთან გატოლება სწორი არ იქნება.

თუმცა, ნურც ნურაფერს ვიტყვით საპირისპიროდ. ჩვენ ხომ არ ვიცით რა ხდება იქ, კორეაში და მით უმეტეს კორეის ნაკრების ბანაკში. ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ იმოქმედა ჯგუფიდან გასვლამ ამ ქვეყანასა და მის ფეხბურთელებზე. გამორიცხავთ, რომ პირველ ეტაპზე მიღწეულ წარმატებას მათთვის განსაკუთრებული სული შთაებერა? გამორიცხავთ, რომ ისინი შეუჩერებელნი გახდნენ?

თან ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ „შოკის ჩემპიონატს" ვუცქერთ — ასე მონათლა მსოფლიო პრესამ იაპონია-კორეა 2002. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იტალიის ნაკრებს დაცვაში ბზარი აქვს, ჰყავს დაშავებულნიც და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯგუფიდან გასვლა გვარიანად გაუჭირდა.

კორეელთა ჰოლანდიელი თავკაცი გუს ჰიდინკი კი ამბობს, რომ თანამდებობაზე ყოფნის 18 თვის მანძილზე, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოახერხა, გუნდისთვის საკუთარი ძალის რწმენის ჩანერგვა იყო.

„სულ არ მაინტერესებს ლამაზი ფეხბურთი. მთავარია, რომ ჩემმა მოთამაშეებმა იციან შედეგს როგორ მიაღწიონ და როგორ მოახერხებენ ამას, სულაც არ არის მნიშვნელოვანი" — ამბობს ჰიდინკი, რომელსაც იტალიელებთან შეხვედრაში, ბუნებრივია, მაყურებლისაც ეიმედება.

თუმცა, ბევრის აზრით არც იტალიელები იკლავენ ესთეტიკურ მხარეზე ფიქრით თავს. განა ისინი უარს იტყვიან მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე მოსაწყენი შეხვედრის გამართვაზე, ოღონდ კი მეოთხედფინალში გავიდნენ?

„ვიცით, რომ სტუმრად ვთამაშობთ, მაგრამ ეგ სულ არ გვაწუხებს, — ამბობს „სკუადრა აძურას" ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი — კორეელთა უპირატესობა ხალხის მხარდაჭერაა, თუმცა ეს უპირატესობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, რომელიც მათ ჩვენი დიდი გუნდის წინააღმდეგ მოედანზე უნდა მიიპოვონ."

იტალიელთა მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი დაცვაზე ფიქრობს. მას ფაბიო კანავარო დისკვალიფიცირებული, ალესანდრო ნესტა კი დაშავებული ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვეტერან პაოლო მალდინის, ამ ჩემპიონატზე რამდენიმე უხეში შეცდომით რომ მიიქცია ყურადღება, ცენტრში შეწევა მოუხდება, სადაც, სავარაუდოდ მარკ იულიანო შეუამხანაგდება. ამხანაგობით იულიანო და მალდინი კი იამხანაგებენ, მაგრამ გაართმევენ კორეელთა ზესწრაფი თავდამსხმელების ქროლვას თავს? აი, ეს არის საკითხავი.

თუმცა ტრაპატონის თავსატეხი მხოლოდ დაცვა როდია. ხომ გახსოვთ, როგორ დაურღვია ჯგუფურ ეტაპზე ლუიჯი დი ბიაჯოს ტრავმამ ბალანსი? და თავდასხმაში? აქაც მოსალოდნელია ცვლილებები, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა შეხვედრებში ყველაფერი მთლად იდეალურად არ ყოფილა. კერძოდ, როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული სასტარტო შემადგენლობაში ფილიპო ინძაგის მაგივრად ალესანდრო დელ პიერო ვიხილოთ.

ჰიდინკის პრობლემა კი ასეთია: შეტევა იუნგ-ჰვან ანს ანდოს თუ სუნ-ჰონგ ჰვანგს მისცეს ნაკრებში მესი თამაშისა და 5-ე გოლის გატანის საშუალება?

**ბაჩუნა ძიძია**



ჰიდინკ, აგვიხდინე ოცნება!

# სადღეისო ვითარება

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 5 | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| | რონალდო | (ბრაზილია) |
| 4 | რივალდო | (ბრაზილია) |
| | ჯონ დალ ტომასონი | (დანია) |
| 3 | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | პედრო პაულეტა | (პორტუგალია) |

### ავტოგოლი

| | |
|---|---|
| 1 ესტანისლაო სტრუგაი | (პარაგვაი) |
| ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

### წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩიჟი (სლოვენია)
შაო ჟიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)
რობერტო აკუნია (პარაგვაი)
რაფაელ მარკეში (მექსიკა)

# იუბილარი



**აკინორი ნიშიზავა**
**(იაპონია) 18.06.1976**

ეს მომღიმარი წვრილთვალება ბიჭი ფორვარდი გახლავთ. ფილიპ ტრუსიე მას მუნდიალზე ჯერ არ ენდობა, მაგრამ აკინორი გულნატკენი მაინც არ უნდა იყოს. მისმა ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და დღეს სამერთხედფინალოდ ოსმალოს რბევაც განუზრახავს.

ნიშიზავამ ეროვნულ გუნდში 24 მატჩი ჩაატარა და ცხრა გოლი მიითვალა. პირველად კი ნაკრების მაისურა ხუთი წლის წინ მოირგო.

სხვათა შორის, აკინორი ევროპაშიც კი გაიჭრა, მაგრამ „ესპანიოლსა" და „ბოლტონში" თითქმის სულ სათადარიგო იყო და შინ დაბრუნება მოუწია. მის გუნდს „ოსაკა" ჰქვია, ხოლო ტრუსიე შრომისმოყვარე და კარზე კარგად დაგეშილ ფორვარდად ახასიათებს.



**ჯეისონ მაკატირი**
**(ირლანდია) 18.06.1971**

ნაკრებიდან როი კინი რომ გააძევეს, ყველას ეგონა, მის პოზიციაზე ჯეისონ მაკატირს გაამწესებდნენ. თუმც მიკ მაკარტიმ სხვანაირად განსაჯა და მაკატირი ოდენ ორ შეხვედრაში ათამაშა, თანაც ისე, რომ ფეხბურთელს ჯამში 56 წუთი ერგო მუნდიალზე ბურთაობა.

მაკატირმა კარიერა „ბოლტონში" დაიწყო, სადაც ნამდვილი ლიდერი გახლდათ და გუნდი მეორე დივიზიონიდან პრემიერლიგაში ალაზევა. ამის შემდეგ, 1995 წელს, ჯეისონმა ბავშვობის ოცნება აისრულა და „ლივერპულში" გადავიდა, თუმც რაიმე ტიტული ვერ მოიპოვა.

მაკატირმა მერე „ბლექბერნს" მიაშურა, ახლა კი „სანდერლენდში" გამოდის, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ადრეც უთამაშია — 1994 წელს აშშ-ში.

მაკატირს, რომელმაც ნაკრებში 49 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, ქართველები ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში გადავეყრებით.



**ვინჩენცო მონტელა**
**(იტალია) 18.06.1974**

მონტელა პატარა ბიჭი აღარ არის, მაგრამ „რომასა" თუ „აძურას" ძირითადში დამკვიდრება ერთობ უჭირს. ტრაპატონიმ კორეა-იაპონიაში ის მხოლოდ ერთხელ, მექსიკის წინააღმდეგ ათამაშა და ისიც შეცვლაზე.

ვინჩენცომ სახელი „ემპოლიში" თამაშით დაიგდო, მერე „ჯენოაში" მიიწვიეს, იქიდან კი შორს აღარ წასულა, იმავე ქალაქში დარჩა, ოღონდ „სამპდორიაში". მაგრამ ეს გენუური კლუბი სერია B-დან გავარდა, მონტელა კი სერია A-ს „რომაში" ალზევდა. სადებიუტო სეზონში ვინჩენცომ 18 გოლი გაიტანა.

მონტელა მართლაცდა ნიჭიერი ფორვარდია და როგორც იტალიაში ამტკიცებენ, მომდევნო სეზონიდან „რომაში" ბატისტუტას იქით მოაქცევს თავის ჩრდილქვეშ.



**გორან სანკოვიჩი**
**(სლოვენია) 18.06.1979**

გორანი შინ ისე წავიდა, კორეა-იაპონიის მოედნები ვერ დააჭაშნიკა, მაგრამ რომც ეთამაშა, უსუსურ სლოვენიას ბევრს ვერაფერს შემატებდა.

23 წლის მცველი პრაღის „სლავიაში" ირჯება, ნაკრებში კი სრეჩკო კატანეცმა შარშან დაუძახა და სანკოვიჩსაც ოდენ ხუთი მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნულ გუნდში.

ისე, გორანს არც „სლავიაში" ათამაშებენ ხშირად — ის იქაც ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

# პატარა კაცი დიდი გულით

## წერასატანილმა ბეკენბაუერმა უნახავი ნახა

დაცარიელებული კაფე-ბარები, დისკოთეკები, რესტორნები... ასე უჩვეულოდ შეხვდა ღამის ცხოვრებით განთქმული ბერლინი პარასკევ ღამეს. საერთოდ, ამ ქვეყანაში თუნდაც მცირე ხნით ჩასული კაცი, ერთ რამეს უცბად შეამჩნევს. მთელი კვირის განმავლობაში საქმეებში ჩაფლული გერმანელები პარასკევ საღამოს მოუთმენლად ელიან, პარასკევი და შაბათი ღამე მათია. გადაჭედილი რესტორნები, ბარები, დისკოთეკები, და რაღა თქმა უნდა, ლუდხანები – აი, გამთენიამდე მათი დროსტარების ადგილები. მაგრამ წინა პარასკევს ასე არ იყო. მიზეზი ის უჩვეულო საუზმე გახლდათ, რომელიც მათ რუდი ფიოლერმა და გერმანიის ნაკრებმა საშაბათოდ მოუმზადათ.



**ვანო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**

**შაბათს** დილით გაღვიძებულ გერმანელებს ეგებ, არც პირის დაბანა უფიქრიათ და არც კბილების გახეხვა, მაშინვე ტელევიზორს მიუსხდნენ. ვინც გერმანია — პარაგვაის ყურებას ძილი არჩია, დიდხანს მაინც არ დასცალდა, 10:15 საათზე მძინარე გერმანელები გამაყრუებელმა ღრიალმა გამოაღვიძა — ნოივილმა გოლი შეაგდო...

ახლა აქაურები იმდენად დარწმუნებულნი არიან თავისიანთა ჩემპიონობაში, რომ ფიფას შეუძლია, მსოფლიოს ჩემპიონატი შეწყვიტოს და თასი პირდაპირ გერმანიას გადასცეს. „ჰოპლა, ჩვენ ჩემპიონები ვართ" — ასე შეხვდა გერმანელთა გამარჯვებას „ბილდი". „შემდეგი, გეთაყვა" — წერს „ბერლინერ კურიერი", „ჩვენ ვამაყობთ თქვენით" — ეხმაურება „ბერლინერ ცაიტუნგი". ფაქტი ერთია, გერმანელები ეიფორიაში არიან. აქამდე კალენდარ-კენჭისყრით უკმაყოფილოები, ღმერთი ჩვენსკენ ყოფილაო, აღნიშნავენ და მსოფლიოს ჩემპიონობის აღსანიშნავად ემზადებიან. ფიოლერი აქ უკვე ღმერთია და თუ გერმანია მართლაც გაჩემპიონდა, თქვენ მერე ნახეთ, ეგებ ფრანც ბეკენბაუერის ავტორიტეტსაც გადასწონოს.

შეუძლებელია ყველაფრის გადმოთარგმნა, რასაც აქაური პრესა წერს, ფეხბურთელთა განდიდების გარდა ყოველდღიურად ქვეყნდება საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. თუ კი ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანელთა გამარჯვების 7-8 პროცენტს სჯეროდა, ახლა 80 პროცენტზე მეტია დარწმუნებული.

რაღა დაგიმალოთ და ძალიან მიკვირს ასეთი ოპტიმიზმი. გერმანელები კი იგებენ, მაგრამ ისინი ჯერ არ გადაყრიან სერიოზულ მეტოქეს და ნახევარფინალამდე ვერც გადაეყრებიან.

პრესას დავუბრუნდეთ. არ შეიძლება არ აღინიშნოს შაბათის „ბილდის" პირველი გვერდი. ზემოთა ნახევარზე ხელებაღმართული რუდი ფიოლერის დიდი ფოტოა წარწერით: „JAAAA!" ქვედა ნახევარში კი გაწიწმატებული რუდის დიდ ფოტოს აწერია: „NEIN!" იქვე ბილდელთა რჩევაა, თუ გაზეთის ყიდვისას ანგარიში უკვე იცით და თამაში წაგებული გვაქვს, მაშინ ქვედა ნაწილი წაიკითხეთო. იქ კი წერია: „არა, არა, არა! ნუთუ ეს სიმართლეა?! როგორი მწარეც უნდა იყოს, გერმანიის ნაკრები პარაგვაიმ დაიფრინა. მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის უკვე დასრულდა. ხვალ ნაკრები შერცხვენილი გვიბრუნდება. არა, რუდი, არა!" თამაშის მერე ნახევარ ბერლინს ეს ნომერი ეკავა და გაღიმებული დადიოდა.

### ოლი-გოლი

მაშინ, როცა პარაგვაისთან ყველა დამატებითი დროისთვის ემზადებოდა, გერმანელებმა მომაკვდინებელი კომბინაცია გაითამაშეს და... ოლივერ ნოივილი ახლებურადაც მოინათლა: ოლი-გოლი!

მოგეხსენებათ, ნოივილმა ჯგუფური ეტაპი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ამით გაბრაზებული ფიოლერთან მისულა და უკმაყოფილება გამოუთქვამს. ბევრი მწვრთნელი ჯიბრზე საერთოდ აღარ ათამაშებდა, ანაც კონფლიქტს გაამწვავებდა და გუნდიდან გაუშვებდა, რუდის კი ნოივილისთვის მშვიდად უპასუხია: „ოლი, მესმის შენი. მაგრამ ცოტა უნდა მოითმინო და ვარჯიში გააგრძელო. იცოდე, ძალიან მალე მოვა დრო, როცა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვა."

ეს დრო იმაზე მალე მოვიდა, ვიდრე ნოივილი წარმოიდგენდა. „მე წლეულს „ლევერკუზენთან" ერთად მკაცრად დავისაჯე, სამი ტიტული დავკარგე ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამო ნაკრების სამი ამხანაგური მატჩი გამოვტოვე, რამაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი დამაკარგინა, თუმცა ახლა ძალიან ბედნიერი ვარ — ამბობს დედით იტალიელი, მამით გერმანელი, ბებია-ბაბუით ბელგიელი, შვეიცარიაში დაბადებული ჩია ოლი-გოლი და დასძენს — სადაური ვარ? ეგ მეც არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა მსურს და ამას აუცილებლად მივაღწევ."

მასზე ფიოლერის აზრი კი ასეთია: „პატარა კაცი დიდი გულით! ასეთი ტიპის ფეხბურთელზე ყველა მწვრთნელი ოცნებობს. ჟაკი (ნოივილის კიდევ ერთი მეტსახელია) პარაგვაისთან მხოლოდ იმიტომ კი არ ვათამაშე, რომ იანკერს ტრავმა ჰქონდა, იმისიც ღრმად მჯეროდა, რომ მეტოქეს გაანადგურებდა."

„ბილდმა" შნაიდერ-ნოივილის კომბინაცია და გოლი, კომპიუტერულ თამაშს შეადარა. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებში ბევრი ყოფილა ამ საქმით გატაცებული, თუმცა შნაიდერს და ნოივილს ვერავინ შეედრება. თავისუფალ დროს მოიხელთებენ თუ არა, თურმე ორივე ლევერკუზენელი ტელევიზორს მიუსხდება და ჯოისტიკმომარჯვებულნი ფეხბურთს თამაშობენ. ის კომბინაციაც, ეტყობა, ერთად დაამუშავესო. გერმანელი ჟურნალისტები ფიოლერს ურჩევენ, გუნდის ვარჯიშისას ეს დუეტი ეგებ სასტუმროს ნომერში დატოვოთ და თამაში აცალოთ, იქ უფრო კარგ კომბინაციებს ამუშავებენო.

### რუდი, არ გამაბრაზო

სანამ კორეა-იაპონიის მოედნებზე ბურთი დაგორავს, ბევრ ცნობილ საფეხბურთო მოღვაწეს ხელში კალამი თუ მიკროფონი აუღია და ჟურნალისტობისთვის მიუყვია ხელი. მათ შორისაა მიუნხენის „ბაიერნისა" და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც „ბილდში" ყოველდღიურად აქვეყნებს სტატიებს. 30 მაისიდან კორეა-იაპონიაში მყოფი „კაიზერ ფრანცი" პარაგვაისთან მატჩის მეორე დღეს პირადი საქმეების გამო ერთი კვირით სამშობლოში დაბრუნდა და ფიოლერს „ბილდიდან" დაემუქრა:

„აზიაში ნახევარფინალური მატჩებისას ისევ გავემგზავრები. რუდისაც იქ შევხვდები. აბა, გაბედოს და მანამდე დაბრუნდეს უკან, ძალიან გავუბრაზდები— ხუმრობს ბეკენბაუერი და მერე მთელი სერიოზულობით ამატებს — დარწმუნებული ვარ, 30 ივნისს ფინალში ჩვენ და ბრაზილია ვითამაშებთ. გასაოცარია, მაგრამ აქამდე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს. რუდის კომპლიმენტი უკვე ეკუთვნის, მან გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა, რისიც მანამდე ბევრს არ სჯეროდა. აღფრთოვანებული ვარ მისით. რუდის ალღოც მაოცებს, პარაგვაისთან სებასტიან კელის გამოყვანას ბევრი ვერ გაბედავდა, არადა, გარღატეხა სწორედ კელის გამოჩენას მოჰყვა."

### დაანებეთ მამას თავი

გერმანია მეოთხედფინალშია, წესით ნახევარფინალშიც უპრობლემოდ უნდა გავიდეს, აშშ-ის ნაკრებს აქ სერიოზულად არავინ უყურებს. მწვრთნელის გვერდით დგას ყველა, ფეხბურთელები, საფეხბურთო კავშირი, ჟურნალისტები, ქვეყნის კანცლერი, რომელიც ფეხბურთის დიდი მოტრფიალეა და ბუნდესლიგაშიც ლამის ტურს არ აცდენს. რუდის გვერდითაა მეუღლე საბრინაც. ფიოლერსაც თითქოს სხვა სადარდებელი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ...

ამასწინათ პრესკონფერენციაზე ფიოლერმა მასმედიელებს მიმართა, ეგებ მამაჩემზე ამდენ ლაპარაკს თავი ანებოთო. 78 წლის კურტ ფიოლერს გული აწუხებს, ეგებ გახსოვდეთ, შარშან სექტემბერში ინგლისთან 1:5 წაგებული მატჩის მსვლელობისას ინფარქტიც მიიღო და მას მერე ფეხბურთის ყურება ექიმებისგან აკრძალული აქვს. პარაგვაისთან მატჩსაც არ აყურებინეს, მხოლოდ საღამოსღა დასჯერდა ფრაგმენტებს. მას მერე ხშირად წერენ მასზე, ტელევიზორშიც აჩვენებენ და ფიოლერიც ამან გაანაწყენა, გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის და ხელს ნუ შეუშლითო.



გერმანელები რუდი ფიოლერისგან საჩემპიონო გვირგვინს ელიან

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 15,16,17 ივნისი გია ახვლედიანი

# ახალი ფეხბურთი



ბრუნო მეტიუმ სენეგალელებს ხეზე ასვლაც ასწავლა

**მსოფლიოს ჩემპიონატზე** არა მხოლოდ მწვრთნელები ეთხოვებიან გუნდებს, არამედ, ფეხბურთელებიც. ბევრს ადრიდანვე გამოეცხადებინა, კორეა-იაპონიის შემდეგ ნაკრებში აღარ ვითამაშებო.

კვირას ორი გუნდი გამოეთხოვა თასისთვის ბრძოლას და ამ გუნდების ორორმა განთქმულმა ფეხბურთელმა თქვა, წავედითო. შვედთა ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებენ მთავარმეგოლე ჰენრიკ ლარსონი და მცველი იოჰან მიალბი, ირლანდიელთა შორის კი ამიერიდან აღარ იქნებიან ახმახი ნაილ ქუინი და კაპიტნობის გამწევი სტივ სტაუნტონი. ჩვენ ამიერიდან, შვილებს მივიყვანთ „ლენსდაუნ როუდზე" და სამყურათა ნაკრების ქომაგობით შემოვიფარგლებითო.

კვირა საუცხოო მერვედფინალების დღე იყო, შვედებსაც და ირლანდიელებსაც შეეძლოთ აზიაში დარჩენილიყვნენ, მაგრამ მსოფლიოს თასს გამოეთხოვნენ.

სენეგალის გუნდი რომ კარგახანია აღარ არის სენსაცია, ყველამ იცის. სენეგალელები თავისი თამაშით ამტკიცებენ, რომ ფეხბურთში ახალი ძალა მოდის. აქ მაინცდამაინც იმას არ ვგულისხმობ, რომ აფრიკაა ახალი ძალა და მალე აფრიკა იქნება, რაც იქნება.

აფრიკა აღარ არის ახალი ძალა. აფრიკა უკვე კარგი ფეხბურთია. ახალი ძალა უფრო კორეა და იაპონიაა. ხვალინდელ საღამოს რომ დავყელოდოთ, საუკეთესო რვა გუნდის რეესტრი უფრო საინტერესო იქნებოდა. მანამდე კი მეოთხედფინალში არიან ამერიკელები და ეს ჩვენი კარგი სენეგალელები. მასპინძელთაგან რომელიმე აუცილებლად დაემატება უკვე გასულებს და თუ ორივე დაემატა რას მივიღებთ?



ინგლისი — დანიის მერვედფინალურ მატჩს არსენ ვენგერმა სვენ გორან ერიკსონის ქალთან, ნენსი დელ ოლიოსთან ერთად უცქირა

თუმცა, რას მივიღებთ, როცა მივიღებთ ან თუ მივიღებთ, მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი სენეგალელებს მივუბრუნდეთ.

ბრუნო მეტიუ ძალიან ჭკვიანი კაცია. უფრო ჭკვიანი, ვიდრე ვინი შეფერი. ამიტომაც გაემგზავრა შეფერის კამერუნი შინ, სენეგალელები კი კვლავ ჩემპიონატზე არიან.

მეტიუს გუნდი საოცარი გუნდია, არა იმიტომ, რომ ელ-ჰაჯი დიუფი, ანრი კამარა და ფერდინანდ კოლი ჰყავს, არამედ, იმიტომ რომ გრძელთმიანმა ფრანგმა ამოიცნო, როგორ უნდა ათამაშო აფრიკელები მსოფლიოს უდიდეს ტურნირზე. ვინი შეფერმა კამერუნს ჩრდილოევროპული რამეები დაუხაზა და კიდეც მოეხაზა, მეტიუმ კი ნურას უკაცრავად, აფრიკული სული, აფრიკული ჯანი და აფრიკული ფანტაზია გამოიყენა. ნათამაშევ ოთხ მატჩში სენეგალელებმა მხოლოდ ერთ ტაიმში დაივიწყეს დისციპლინა, ისიც იმ შეხვედრაში, რომელსაც 3:0-ს იგებდნენ.

სათამაშო დისციპლინა კი, აფრიკელთათვის მთავარი პრობლემაა. აგვარებ ამ პრობლემას, ნაბიჯით წინ ხარ. სენეგალი უკვე არის ნაბიჯით წინ.

მეტიუს დამსახურება კიდევ ის არის, რომ ეს ფრანგულ ლიგებში გამოზრდილი ფეხბურთელები ყოველგვარი ფსიქოლოგიური სირთულეების გარეშე ირჯებიან. არ დამიდე პენალტი, ნუ დამიდე, მე ძველებურად ვთამაშობ. მაგალითად, მექსიკელებს ეს არ შეძლიათ. მექსიკელებს კი არა, უფრო სახელოვნებსაც უჭირთ ხოლმე. თანაც, სავალდებულოდ მოსაგებ მატჩში.

ეს სენეგალელთა კიდევ ერთი პლუსია.

მაგრამ ყველაზე მთავარი ამ ამბავში ის არის, რომ თერთმეტივე სენეგალელი ფეხბურთელი მთელს მოედანზე მოძრაობს. ეს ცნობილი ამბავია მოწინავე გუნდებში და საერთოდ, ახლა უმრავლესობა ასე თამაშობს, მაგრამ სენეგალელებს ამაშიც ერთგვარი განსაკუთრებულობა მოსდევთ, რადგან, როცა ისინი უტევენ, ვერავინ გაიგებს ვინ საით გადავა და ვინ ვის გაუცვლის ადგილს. ელ-ჰაჯი აქედანაც უტევს, იქედანაც უტევს, უცებ საიდანღაც ალიუ სისე გამოხტება, ანრი კამარა ისევე ურტყამს, როგორც პაპა ტიავუ. ხალილუ ფადიგა კი უცებ სადღაც გაუჩინარდება, რათა მოულოდნელად გრძელი პასით წამოიწყოს შეტევა მარჯვენა ფრთიდან, სადაც წესით ფერდინანდ კოლი უნდა იდგეს. კოლი კი ამ დროს საჯარიმოშია და თავის დასარტყმელად ემზადება.

60-იანი წლების მიწურულს, „ფეიენოორდის" მწვრთნელმა ერნსტ ჰაპელმა უთხრა „აიაქსის" მწვრთნელ რინუს მიხელსს: „ვხედავ, რომ რაღაც შეცვალე, მაგრამ ჯერ კარგად ვერ ამოვიცანი, რა. სეზონი ახალი დაწყებულია. მეც რაღაცეებს ვცვლი, მაგრამ..."

ამ ჩემპიონატზე აშკარად ჩანს მოტივები იმ ძველი ამბისა, რამაც ამ ორი კაცის ხელით რევოლუცია გამოიწვია მსოფლიო ფეხბურთში. მაგრამ მხოლოდ მოტივები. რევოლუციის დრო წასულია. ახლა ევოლუციაა მოდაში. ევოლუცია კი უკვე აშკარაა. ფეხბურთი იცვლება, ის უფრო და უფრო რთული ხდება. ტაქტიკის მეცნიერება ახალ სიმაღლეებს ეთამაშება. რა ვიცი, მე ასე მგონია, რომ ის, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ხდება შემთხვევითი არ არის. მხოლოდ ვარსკვლავებით, მხოლოდ ნაცნობი ნახაზებით, მხოლოდ ჩვეული სტილით მოგება სულ უფრო ძნელი ხდება დიდი გუნდებისთვის. ფეხბურთელები უკვე სხვანაირ ინტელექტს ეუფლებიან. ეს კი ყველაზე კარგად მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩანს. ფეხბურთში მართლა უნივერსიტეტები იქმნება. ასეთ რამეებზე ფიქრი ეგებ ნაადრევია, მაგრამ ამ მსოფლიოს თასის რამდენიმე თამაში, რომელთაგან ორში სენეგალელები მონაწილეობდნენ, იმის დასტურია, რომ ცვლილებები ნამდვილად ხდება.

შვედთა მშვენიერი გუნდი შინ გაემგზავრა. შეგვიძლია ვთქვათ აზიურ კლიმატსა და ანდრეას სვენსონის უიღბლობაზე, მაგრამ სენეგალი უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე შვედეთი. როცა ახალი ყაიდის თამაში გახურდება ხოლმე, იქ ყოველთვის უფრო ნიჭიერი და ანთებული იმარჯვებს. სენეგალელები სილაღეშიც სჯობდნენ შვედებს. ტრადიციული ძველი ყაიდისა იყო ესპანეთ-ირლანდიის მატჩი. ეს გუნდები თავიანთი წარმოშობითა და სინამდვილით ძალზე შორს დგანან ავანგარდულობისგან. ფეხბურთიც იმიტომაა გენიალური თამაში, რომ როცა ორივე გუნდი ტრადიციულ შეხედულებათა მატარებელია, იქ კვლავ წამოყოფს თავს ძველი გამოთქმა, ფეხბურთი იოლი თამაშია, ბურთი შენიანს უნდა გადააწოდო. გენიალური უბრალოება ფეხბურთისა ეგებ სწორედ იმაშია, რომ მისი ყველამ ყველაფერი იცის. მეც თქვენსავით ვიცი, რომ მეორე ტაიმში მოედანზე გავა ახმახი ნაილ ქუინი და თავის საქმეს გააკეთებს. გააკეთებს ძალიან უბრალოდ, მარტივადაც კი ყოველგვარი ფილოსოფიის და რთული ტაქტიკური ჩანაფიქრების გარეშე, რადგან ქუინი მაღალია და ძალიან კარგად თამაშობს თავით. მსოფლიოში არავის შეუძლია მასავით გადააწოდოს ბურთი პარტნიორს, ისე, რომ ფეხი ერთხელაც არ მოიხმაროს.

ეს ყველაფერი არსებობს ერთად და ეს ყველაფერი ფეხბურთია. ამიტომაცაა ფეხბურთი დიდებული თამაში.

მწვრთნელის მნიშვნელობა კი სულ უფრო და უფრო იზრდება. ამიტომაა გასაკვირი ერთი განთქმული კაცის განცხადება.

დიეგო მარადონა იაპონიის ნაცვლად პანამაში ჩაფრინდა. გასაგებიცაა, არგენტინის ნაკრები ჩემპიონატს გამოეთხოვა, დიეგომ კი კომენტატორად მუშაობა აღარ ისურვა.

პანამაში მარადონა ძველმა მეგობარმა, დიდმა საკრივო ჩემპიონმა რობერტო დურანმა დაპატიჟა. ჰოდა, სწორედ არხით შუაზე გაჭრილი ამ ქვეყნიდან ამცნო მსოფლიოს თავისი სურვილი დიეგომ: სიამოვნებით ვიმუშავებდი არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, თან ისე, რომ გროშიც არ მინდაო. მარადონას ეს განცხადება ემთხვევა ურთულეს მომენტს, როცა არგენტინელთა დამარცხებულ მწვრთნელს, მარსელო ბიელსას კონტრაქტი უმთავრდება, არგენტინული ფეხბურთის უფროსობა კი აცხადებს, თუ ბიელსას სურს, დარჩეს ნაკრების მწვრთნელადო.

დღეს არგენტინაში არეული ვითარებაა, იქაურ ჩემპიონატში ლამის ყოველი მნიშვნელოვანი თამაშის ბედს ხულიგნები წყვეტდნენ. მარადონას განცხადებაც, შესაძლოა, ბევრმა [illegible] ვარმა, აიტაცოს და მერე რაღას გაარ[illegible]რებ. ისე კი, თუ ასე მოხდა, დიდი ამბავი იქნება. მარადონა ერთადერთხელ იყო, ერთი პატარა ბაირესული კლუბის მწვრთნელი, სულ ხუთი მატჩი გაძლო პოსტზე და მერე მსაჯს ვედრო ესროლა.

ნაკრების მწვრთნელად მარადონას დანიშვნა წარმოუდგენელია, თუმცა, სანაკრებო შტატში, მით უმეტეს დიდ ტურნირზე, ასეთი კაცის ყოფნა ყოველთვის სასარგებლოა. ამასწინათ ამბობდნენ, ფრანგთათვის კარგი იქნებოდა, სანაკრებო უფროსობაში დიდიე დეშანი რომ ჰყოლოდათ, რადგან ის თავისი გამოცდილებით, ძველი კაპიტნის თვალით და ქცევით მათ ძალას შემატებდაო. ასე ჰყავთ პორტუგალიელებს ეუსებიო, რომელიც გუნდში ცოცხალ ლეგენდად მუშაობს. აი, ამგვარ კაცად მარადონა მართლაც მისწრება იქნებოდა. მისი მწვრთნელობისა კი ჩვენ არაფერი ვიცით. თუმცა, მარადონას ნიჭიერობის ამბავი რომ ვიცით, თუ ნერვებს მოიწესრიგებს აქაც დიდი ვინმე გახდება, რადგან ფეხბურთს უკვე აქვს იმის ტრადიცია, რომ ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონები მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონები ხდებიან.

დღიური იმის დღიურია, რომ შიგ რაღაცეები ჩაინიშნო, ჰოდა, მეც ჩავინიშნე გამწარებული დანიელი მეგოლის, იონ დალ ტომასონის სიტყვები — ამგვარი თამაშით, ჩვენ რომ მოგვიგეს, ინგლისელებს ბრაზილიასთან შანსი არა აქვთ, თუ დაცვაში ჩაუდგებიან, პირწმინდად წააგებენო. „კუკლასავით" დანია ჩემპიონატს გამოეთხოვა. ყველასათვის მოულოდნელად მკაცრ ინგლისთან შეხვედრაში. მე ასე მეგონა, რომ სამივე გოლი დანიელებმა გაიტანეს საკუთარ კარში, სვენი კი მშვიდად აცხადებს, კარგი სამუშაო ჩავატარდაო. ამ ინგლისი არა, ინგლისი არას ძახილში კი მივადექით ჩემპიონატის მეორე დიდ თამაშს, ინგლისელებსა და ბრაზილიელებს შორის, თუმცა ეს ისეთი თამაშია, რომ რაც უფრო მოახლოვდება, ფიქრები უფრო შემოგეჯარება და ამიტომ წინ ბევრი დრო გვაქვს.



**საგანგებო ლოზუნგი**

**აღმოაჩინე ამერიკა! თუ აფრიკა?**

# ალექსანდრე რეხვიაშვილი სკონტოდან ასი პროცენტით და ასი ათასადაც მიდის



ლატვიის უცვლელი ჩემპიონის რიგის „სკონტოს" კაპიტანი ალექსანდრე რეხვიაშვილი უკვე რა ხანია კლუბიდან ასაბარგებლადაა გამზადებული, მაგრამ გზას დღემდე ვერ დასდგომია და აგერ, ქვეყნის ახალდაწყებულ ჩემპიონატშიც კვლავ „სკონტოს" შემადგენლობაში ჩანს.

საქართველოს ნაკრებში ჩატარებული რამდენიმე, რეხვიაშვილისთვის წარმატებული მატჩის შემდეგ ქართულ-ლატვიური საფეხბურთო სამყარო ამ ფეხბურთელის „სკონტოდან" მოსალოდნელ ტრანსფერზე ალაპარაკდა. ჯერ იყო, ამბობდნენ, ალეკო რეხვიაშვილს იტალიური „ბოლონია" და „ლეჩე" ეპატიჟებაო, მერე, ინგლისურ „ვესტ ჰემში" გადასვლის ვარიანტი აქვსო, თუმც ამ საქმიდან აქამდე არაფერი გამოვიდა. ალეკო ისევ „სკონტოშია", წლეულს ლატვიის ჩემპიონატში ათჯერ უკვე ითამაშა და წუხელ რიგაში როცა შევეხმიანეთ, უწინდელისგან განსხვავებით უფრო თავდაჯერებულმა გვითხრა:

— რიგის „სკონტოს", ჩემთვის ძალიან საყვარელ კლუბს, დღე-დღეზე დავემშვიდობები. ლატვიის ჩემპიონატში 26 ივნისიდან ორკვირიანი შესვენება იწყება და სწორედ ამ პერიოდში ვაპირებ „სკონტოდან" წასვლას. სულ ორი თამაშიც და რიგას დავტოვებ.

**— ადრეც ხშირად გითქვამს, „სკონტოდან" მივდივარო, თუმც კლუბს დღემდე შემორჩი.**

— ახლა კი უეჭველი, ათასი პროცენტით დარწმუნებული გეუბნებით — ძალიან მალე კლუბს გამოვიცვლი.

**— სად, რომელ გუნდში მიდიხარ?**

— ჯერჯერობით იმის თქმა შემიძლია, რომ ინგლისიდან და გერმანიიდან მიწვევენ. გუნდების ვინაობას კი არ გაგიმხელთ. ჩემმა აგენტმა მთხოვა გუნდი არ დააკონკრეტოო.

**— კი, მაგრამ რატომ არ დააკონკრეტოო?**

— ეგ აღარ უთქვამს. ისე მთავარი უკვე გითხარით და იმასაც დავამატებ, რომ ორივე ქვეყნის უძლიერესთა ლიგის გუნდებში მეპატიჟებიან.

**— ლატვიის ჩემპიონატში შესვენებას რატომ ელოდები?**

— აგენტი რიგაში ერთი კვირის წინ იყო ჩამოსული, ამჟამად ევროპაში ყველანაირი საფეხბურთო საქმიანობა შეჩერებულია, ყველანი მსოფლიოს ჩემპიონატზე არიან გადართულნი. კლუბების უმეტესობა 1 ივლისს იკრიბება. ჩემი ამბავიც საბოლოოდ 10 ივლისამდე უნდა გადაწყდეს, თუმც კი „სკონტოდან" რომ მივდივარ, ეს უკვე გითხარით.

**— რიგელები ხელს არ შეგიშლიან?**

— კლუბის პრეზიდენტს რამდენჯერმე ვესაუბრე. პრობლემა არ მექნება. „სკონტო" თავადაც მოწადინებულია და პრეზიდენტისვე თქმით, 100 ათასიც რომ შესთავაზონ რიგელებს ჩემს სანაცვლოდ, დაუბრკოლებლად გამიშვებენ. ცხადია, უკეთესი იქნება დაინტერესებული კლუბი „სკონტოს" მეტს თუ გადაუხდის. ეს ჩემი პრესტიჟის საქმეცაა.

**ჯობა ინასარიძე**



დღეს დავით ყიფიანი 51 წლისა გახდებოდა...

დღეს მის ოჯახს ფიფას მიერ დიდი ქართველი ფეხბურთელისთვის მიკუთვნებულ მედალს გადასცემენ. ეს მედალი სეულში გამართული ფიფას კონგრესიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჩამოიტანა და მის გადასაცემად დღეს თავად ესტუმრება ყიფიანების ოჯახს.

დავით ყიფიანი მსოფლიომ კიდევ ერთხელ დააფასა.

# შტელინმა ტორპედო ბაკურიანში აიყვანა

## ჩემპიონები ლიგისთვის მოსკოვში მოემზადებიან

**ერთი** კვირაც არაა, რაც ქვეყნის სამგზის ჩემპიონ „ტორპედოს" მესვეურებმა რევაზ ძოძუაშვილს შემცვლელი მოუძებნეს. გუნდის მწვრთნელის პოსტი ბოლო დროს ბელგიაში მცხოვრებ უკრაინელ სპეციალისტ ალექსანდრ შტელინს ჩააბარეს. შტელინი გასულ პარასკევს მივიდა მისთვის ნაცნობ გუნდში. მოგეხსენებათ, მან არცთუ დიდი ხნის წინ ოთხი თვე იმუშავა „ტორპედოში", ჯერ დავით ყიფიანის, შემდეგ კი ყიფიანისა და ძოძუაშვილის თანაშემწედ.

ქუთაისში ჩამოსვლისთანავე ტორპედოელთა ახალმა თავკაცმა მეგობრულად მოიკითხა გუნდის წევრები და უმალ კრებაც გამართა.

— კლუბის პრეზიდენტმა ზურაბ ხინიკაძემ დიდი ნდობა გამომიცხადა. თავის შერცხვენა არ მჩვევია, ვეცდები, ჩემი ცოდნა და გამოცდილება „ტორპედოს" სრულად მოვახმარო. კარგად მესმის, ჩემპიონს რაც მოეთხოვება. მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ. ერთ თვეში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში ჩავებმებით. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. ვითანამშრომლოთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. აქედანვე ვაცხადებ, დისციპლინის დარღვევებს ვერ შევეგუები. „ტორპედოში" რადიკალური ცვლილებები არ მოხდება, სულ მალე ზურაბ ხინიკაძე გვეწვევა და გუნდის დაკომპლექტებას და სხვა საორგანიზაციო საკითხებს მასთან ერთად გადავწყვეტთ — თქვა კრებაზე ალექსანდრ შტელინმა.

ახალმა მწვრთნელმა აღარ დაახანა და პარასკევსვე გაიყვანა გუნდი სავარჯიშოდ. შაბათ-კვირას შტელინმა ორმაგად დატვირთა შეგირდები, დილა-საღამოს ავარჯიშა. გუშინ დილით კი მწვრთნელმა „ტორპედო" მისსავე ფარმკლუბ „ინტერს" გააჯიბრა ამხანაგურად. ტორპედოელებმა იონანიძის, ასათიანის და ქუთათელაძის გოლებით 3:0 იმარჯვეს. თამაშის შემდეგ „ტორპედო" საღორიის ბაზიდან აიბარგა და ლაბა ბაკურიანში გაემგზავრა ორკვირიან შეკრებაზე.

ალექსანდრ შტელინმა ბაკურიანში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა: *მეკარეები — ნიკოლოზ ტოგონიძე, ზვიად სტურუა, ირაკლი თოთაძე; მცველები — ვახტანგ ხვადაგიანი, დავით გამზარდაშვილი, ვახტანგ აკოფიანი, მიხეილ მაზმილაძე, გაგა ჩხეტიანი; ნახევარმცველები — გიგი დიდავა, შოთა ბაბუნაშვილი, რომან ახალკაცი, ზურაბ ძამსაშვილი, მალხაზ ასათიანი, ვალტერ გურუა, ზურაბ იონანიძე; თავდამსხმელები — ზვიად ქუთათელაძე, დავით ჯანაშია.*

— ეს სია სრული არ გახლავთ — გვითხრა „ტორპედოს" პრესატაშემ ჯემალ ფირცხალავამ — ვალტერ გურუას, რომელიც „კოლხეთში" იყო განათხოვრებული და ბოლოს „ბათუმში" ნათამაშებ დავით ჯანაშიას გარდა ალექსანდრ შტელინი გუნდში, მეკარე გრიგოლ ჭანტურიას დაბრუნებასაც აპირებს. შეკრებაზე ისიცაა გამოძახებული. ბაკურიანშივე შეუერთდებიან გუნდს ვალერი აბრამიძე, რევაზ ქემოკლიძე, სევასტი თოდუა, დიმიტრი პარამონოვი, ანდრი ბოროშინი და ლაშა ჭელიძე, რომელიც ამჟამად მოსკოვში ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს ნაკრებს ახლავს. „ტორპედო" ამ თვის ბოლომდე დარჩება ბაკურიანში და ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას დაუთმობს. ამის შემდეგ გუნდი მოსკოვში გაემგზავრება, თუ რა ვადით, ამას 21 ივნისს შეიტყობთ, როცა წილისყრა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტორპედოს" მეტოქეს და პირველი მატჩის გამართვის ადგილს დაასახელებს.

**იუზა ჭაციტაძე, ქუთაისიდან**



შტელინმა „ტორპედო" ქუთაისში ჩასვლისთანავე საღორიაზე შეკრიბა

# კობიაშვილის საქმე ისეა, როგორც ერთ ფილმშია

## კაიზერსლაუტერნის სურვილი მის შესაძლებლობას არ ემთხვევა



„კაიზერსლაუტერნს" ლევან კობიაშვილის ფული არა აქვს

**წავა, არ წავა,** წავა, არ წავა — მკითხაობენ „ფრაიბურგში". მოვა, არ მოვა, მოვა, არ მოვა — კითხულობენ „კაიზერსლაუტერნში".

ვის წასვლა-მოსვლაზეა ლაპარაკი, ალბათ, უკვე მიხვდით. აგერ, თვენახევარია, ლევან კობიაშვილის ტრანსფერზე საუბარი არ წყდება, თუმცა საქმე საუბარს წინ არ მიდის.

თავიდან ვითომ „ლევერკუზენი" იყო დაინტერესებული. ქართველი ჩვენთვის საინტერესო კაციაო, თქვა კიდეც ამ კლუბის კოლორიტულმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა, მაგრამ მერე ნათქვამი დაივიწყა. თუმცა ლევანისთვის თვალი სხვა გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ გუნდებსაც დაუდგამთ. მხოლოდ ერთის ვინაობა გაცხადდა, „კაიზერსლაუტერნის" თავკაცმა ანდრეას ბრემემ ჩვენებურის შეძენის სურვილი გამოთქვა, მაგრამ...

დღე დღეს მისდევს, კობიაშვილი კი ჯერაც ფრაიბურგელია, თუმცა გერმანულ გაზეთებს თუ ვერწმუნებით, „კაიზერსლაუტერნს" საქართველოს ნაკრების ფეხბურთელისადმი ინტერესი ოდნავადაც არ განელებია და ამ ტრანსფერის სათავისოდ გადაწყვეტის იმედიც აქვს. ყველაფერი 1 ივლისამდე უნდა გაირკვეს. სწორედ ამ დღეს შეკრებს ბრემე შეგირდებს და ახალი სეზონისთვის მზადებასაც შეუდგება. 1 ივლისს ლევან კობიაშვილიც თუ იქ არ იქნა, ეს ნიშნავს, რომ „ფრაიბურგში" მომავალ სეზონშიც 5 ქართველი იქნება. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ „კიკერმა" ფრაიბურგელთა მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს გოჩა ჯამარაულისადმი ინტერესის შესახებაც აუწყა მკითხველს, თუმცა ამის თაობაზე მერე აღარაფერი თქმულა. კობიაშვილს დავუბრუნდეთ. იკითხავთ, „კაიზერსლაუტერნი" თუ ასეა დაინტერესებული, ტრანსფერი რატომ ფერხდებაო და გიპასუხებთ.

ცნობილი სადღეგრძელო ხომ იცით, ღმერთმა ქნას, ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთს ემთხვეოდესო. სწორედ ასეა ბეტცენბერგელების საქმე — „კაიზერსლაუტერნს" სურვილი კი აქვს, მაგრამ შესაძლებლობა არა. „ფრაიბურგი" ქართველს 4 მილიონ ევროს აფასებს და, როგორც ჩანს, დაკლებას არ აპირებს. „ლაუტერნი" კი აცხადებს, რომ კობიაშვილში ამდენის გადახდის საშუალებას ჯიბის სისქე არ აძლევს, მით უმეტეს, მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ მიროსლავ კლოზესთვის ხელფასი აქვს მოსამატებელი, რათა თავდამსხმელი სხვა კლუბებმა არ მოხიბლონ და გუნდიდან არ გაექცეს. თუმცა კლუბის თავკაცობას მარცხენა ფლანგიც ადარდებს, რადგან იქ ჯერჯერობით არავინ ჰყავს. „ფაქტია, მაგ პრობლემას ვერ გავექცევით და უნდა გადავჭრათ. გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ თავადაც არ ვიცი" — აცხადებს „ლაუტერნის" თავმჯდომარე იურგენ ფრიდრიხი და იმედს გამოთქვამს, რომ ამ საკითხს მალე მოაგვარებს, ოღონდ არა 4 მილიონად. რა გამოდის? ან „ფრაიბურგი" უნდა წავიდეს დათმობაზე, ანაც ბრემემ ვინმე სხვა უნდა მოძებნოს. ბრემეს თანაშემწე რაინერ შტუმფი კი მაინც ლევანზე ფიქრობს. „კობიაშვილი ის ფეხბურთელია, ვინც მარცხენა ფლანგის პრობლემას მოგვიგვარებდა" — უთხრა შტუმფმა „კიკერს".

შტუმფი ამას კი ამბობს, მაგრამ აბა, ახლა „ფრაიბურგის" მენეჯერ ანდრეას ბორნემანს ჰკითხეთ. „ვერაფერს გეტყვით, ფაქტი ერთია, ჩვენთვის „კაიზერსლაუტერნს" ოფიციალურად ჯერ არ მოუმართავს, მაგიდაზე მათი წინადადება ნამდვილად არ გვიდევს" — ასეთია ბორნემანის პასუხი, რომელიც იქვე აყოლებს, თუ კობიაშვილი სერიოზულად არის ტრანსფერით დაინტერესებული, მაშინ მზად ვართ, მაგიდას მივუსხდეთ და გამოსავალი ვიპოვოთ, თუმცა არა მგონია, ეს საჭირო გახდესო. მენეჯერის ამ ბოლო სიტყვებიდან ჩანს, რომ „ფრაიბურგი" ფასის დაკლებას არ აპირებს.

არაა გამორიცხული, ბადენვუტენბერგელები ბოლო მომენტში წავიდნენ დათმობაზე, რადგან კარგად მოეხსენებათ, რომ ქართველ ფეხბურთელს 2003 წლამდე აქვს კონტრაქტი. მომავალის სეზონის ბოლოს კი თავისუფალ აგენტზე, რომელსაც პირველ ბუნდესლიგაში 121 მატჩი ჩაუტარებია და 20 გოლიც გაუტანია, უარს არავინ იტყვის.

**ვანო ოქროპირიძე, ბერლინიდან**

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში
## კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9[00] — 19[00]**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1155 | იაპონია-თურქეთი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 16.30 | 1156 | კორეა-იტალია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| | | 21 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1157 | ინგლისი-ბრაზილია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 16.30 | 1158 | გერმანია-აშშ | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | ნშინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. XIII ტური | | | | | | |
| | | 22 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 010 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 011 | ბოდოი გლიმტი-სტარტი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 21.00 | 012 | სოგნდალი-მოლდე | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 21.00 | 013 | სტაბეკი-მოსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 014 | ვიკინგი-ლინი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 015 | ვოლერენგა-ბრანი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,15 | 1,95 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 23.30 | 016 | ბრანი-როზენბორგი | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. ძირითადი დრო. | | | | | | |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 155 | იაპონია-თურქეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 16.30 | 156 | კორეა-იტალია | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ძირითადი დრო. | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 157 | ინგლისი-ბრაზილია | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 16.30 | 158 | გერმანია-აშშ | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | |
| 11.30 | 1055 | იაპონია-თურქეთი | 2,8 | 2,1 | 3,3 |
| 16.30 | 1056 | კორეა-იტალია | 4,2 | 2,2 | 2,2 |
| | | 21 ივნისი | | | |
| 11.30 | 1057 | ინგლისი-ბრაზილია | 3,4 | 2,1 | 2,7 |
| 16.30 | 1058 | გერმანია-აშშ | 2,2 | 2,1 | 4,7 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2055 | იაპონია-თურქეთი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2056 | კორეა-იტალია | 1,75 | 1,75 |
| | | 21 ივნისი | | |
| 11.30 | 2057 | ინგლისი-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2058 | გერმანია-აშშ | 1,75 | 1,75 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2155 | იაპონია-თურქეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2156 | კორეა-იტალია | 1,65 | 1,85 |
| | | 21 ივნისი | | |
| 11.30 | 2157 | ინგლისი-ბრაზილია | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2158 | გერმანია-აშშ | 1,7 | 1,8 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2255 | იაპონია-თურქეთი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2256 | კორეა-იტალია | 2,6 | 1,5 |
| | | 21 ივნისი | | |
| 11.30 | 2257 | ინგლისი-ბრაზილია | 2,0 | 1,8 |
| 16.30 | 2258 | გერმანია-აშშ | 1,55 | 2,4 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | | |
| 11.30 | 2955 | იაპონია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2956 | კორეა-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 21 ივნისი | | | |
| 11.30 | 2957 | ინგლისი-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2958 | გერმანია-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 3955 | იაპონია-თურქეთი | 1,6 | 2,1 |
| 16.30 | 3956 | კორეა-იტალია | 2,8 | 1,35 |
| | | 21 ივნისი | | |
| 11.30 | 3957 | ინგლისი-ბრაზილია | 2,1 | 1,55 |
| 16.30 | 3958 | გერმანია-აშშ | 1,3 | 3,2 |

### ჩემპიონი

18 ივნისი. 11.30

| | | |
|---|---|---|
| 3651 | ბრაზილია | 3,0 |
| 3652 | იტალია | 4,0 |
| 3653 | ინგლისი | 3,8 |
| 3654 | ესპანეთი | 4,4 |
| 3655 | გერმანია | 5,6 |
| 3657 | იაპონია | 20,0 |
| 3660 | სენეგალი | 15,0 |
| 3661 | თურქეთი | 40,0 |
| 3662 | კორეა | 40,0 |
| 3666 | აშშ | 20,0 |

### რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

18 ივნისი. 11.30. 3801

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,2 |
| აზია | 20,0 |
| აფრიკა | 15,0 |

# კალათბურთის ჰოლივუდი




# ლეიკერსის სამი სვეტი

## გონება



**ციფრები** ამბობენ, რომ ეს კაცი ნბა-ს ყველა დროის უძლიერესი მწვრთნელია.

ცინიკოსები ამბობენ, რომ ის ყველაზე იღბლიანია.

თავად ეს კაცი ამაზე არაფერს, ან თითქმის არაფერს ამბობს. მის მაგივრად მისი დუმილი მეტყველებს. მისი მოკუმული პირი და თხელ, ჭაღარაგარეულ ულვაშებში ჩაფენილი ღიმილი დაახლოებით ამას ამბობს: „დაე, ჩემს მაგივრად ჩემმა საქმეებმა ილაპარაკონ".

მისი საქმეები კი საგმირო თუ არა, სასახელო ნამდვილადაა. თორმეტი წელია, ნბა-ს გუნდებს წვრთნის და ყველა მოქმედ თუ უქმედ კოლეგას აჯობა. თითქმის ყველა სამწვრთნელო რეკორდს შესწვდა და ნბა-ს ყველა დროის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელთა სიის კენწეროზე აცოცდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ჩვენი ქება-დიდების სამიზნე ფილ ჯეკსონია, თანამედროვე საკალათბურთო სამყაროს უძლიერესი გუნდის, ნბა-ს ბოლო სამი სეზონის ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მწვრთნელი და გონებრივი ცენტრი.

„ის ყოველთვის გონიერი ბიჭი იყო — ამბობს „ნიუ ჯერსის" ყოფილი თავკაცი კევინ ლუგერი — მე მას ვწვრთნიდი მისი კარიერის ბოლო, 1978-79 წლების სეზონში, შემდეგ კი, როცა თამაშს თავი დაანება, ჩემს ასისტენტად ავიყვანე როგორც მოთამაშე, ფილი განსაკუთრებული ნიჭით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ ჯანიანი იყო, ძალას ჭკუასაც ახმარდა და კარგად ერგებოდა ეპიზოდური მოთამაშის როლს. მისი ყოველი ნაბიჯი გონივრული იყო, ყოველთვის ერკვეოდა ურთულეს სიტუაციაშიც. ის ჯერ კიდევ სათადარიგოთა სკამის მოთამაშე გახლდათ, როცა ვფიქრობდი, ცოტა თეორია და ფილი დიდი მწვრთნელი იქნება-მეთქი. მგონი, ყველა ასე ფიქრობდა, ვისაც მასთან ჰქონდა საქმე".

ფილ ჯეკსონი, 70-იანი წლების საშუალო გაქანების კალათბურთელი, ვარსკვლავი არასდროს ყოფილა. მას ჰქონდა ნათელი, სალი გონება და ჯანიანი სხეული. ასაკის მატებასთან ერთად, ცხადია, ჯანი წავიდა, სამაგიეროდ, განვითარდა მისი ტვინი და იმდენად, რომ დაიპყრო თავის გარშემო შემოჯარული „მტრული" და მეტოქე სამყარო. ფიზიკურად ის არაა მოვლენების ცენტრში, ასაკმა თამაშს რამდენიმე მეტრით მოსწყვიტა და გადაულახავ საზღვრად მოედნის ფარგლები დაუწესა, მაგრამ ამავდროულად ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს. ფილ ჯეკსონი უხილავი ძაფებით მართავს თავის მოსწავლეებს, რომელთა შორის საუკეთესოები შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი მის გაცნობამდე უბრალოდ, ღონიერი, მოხერხებული და მკერდგაჯგიმული ბიჭები იყვნენ. ახლა კი ისინი ნბა-ს სამსამგზის ჩემპიონები არიან. თამამად შევტოპოთ და დიდი ფილის უხილავ ძაფზე შაკი და კობი კი არა, თავად მისი აღმატებულება მაიკლ ჯორდანი ჩამოვკიდოთ. მაიკლი ფილის გარეშე სამგზის სეზონის პირველი ბომბარდირი და ერთი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე იყო, ხოლო ფილმა ის ექვსჯერ მიაცილა ნბა-ს პლეი ოფის იმ საფეხურამდე, რომელზეც დასამარცხებელი აღარავინაა.

1999 წელს კალათბურთიდან მეორედ წასვლის მიზეზად მაიკლ ჯორდანმა „ჩიკაგოდან" ჯეკსონის წასვლა დაასახელა. თქვა, ფილის გარდა ვერავისგან მივიღებ მითითებებსო.

„ლეიკერსის" მილიონერ მეპატრონე ჯერი ბასს, რომლის ქალიშვილის — ჯენის საყვარელიცაა ჯეკსონი, იმედი აქვს, რომ დიდი ფილი კიდევ ორი-სამი წლით უხელმძღვანელებს მის გუნდს.

## ძალა

**ოდესღაც** ნბა თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი ოჯახი იყო. სერიალების მსგავსად, ოჯახის ცხოვრებას გარედან უყურებდა საზოგადოების განსაზღვრული ნაწილი, ხოლო ოჯახის წევრები გამუდმებით ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს.

ერთ მშვენიერ დღეს ამ ოჯახის კარი 216-სანტიმეტრიანმა გოლიათმა უილტ ჩემბერლენმა შეგლიჯა, ყველა დამხდური აქეთ-იქით მიმოფანტა, შუა ოთახში გაბოტილმა ხელი ჭერს მიადო, ერთ თამაშში 100 ქულა ჩააგდო...

საგონებელში ჩავარდნილმა ოჯახის მამებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ყველას დამტერორებელის გამო შეცვალეს ცხოვრების რიტმი, გოლიათის ჩარჩოებში მომწყვდევა განიზრახეს და შემოიღეს სამი წამის წესი. მოთამაშეებს (ჩემბერლენს) აეკრძალათ მეტოქის ფარქვეშ გარკვეულ შემოკავებულ სივრცეში სამ წამზე მეტი ხნით შეყოვნება. ეს იყო სერიოზული ცვლილება, მაგრამ ამანაც ვერ დააკავა ვეება ჩემბი. მან გისოსებიდანაც მიაწვდინა ხელი ცას. შეიქმნა მითი, რომ მისებრი ცენტრი არ გამოჩენილა და არც გამოჩნდება ნბა-ში.

მითმა კარგა ხანს იცოცხლა და გასული საუკუნის ბოლოს თუ არ დაიმსხვრა, მაგრად კი დაიბზარა. გაფართოებულ ოჯახში შემოაბოტა უფრო დიდმა გიგანტმა შაკილ ონილმა.

***შაკილ ონილის დოსიე***

***სქესი — მთაკაცი***

***ზომა-წონა — 216 სანტიმეტრი, 155 კილოგრამი***

***ჩინები — ერთგზის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ორგზის სეზონის პირველი ბომბარდირი, სამგზის ნბა-ს ჩემპიონი, ამდენივეგზის პლეი ოფის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე***

***თანამდებობა — ნბა-ს უძლიერესი (იგულისხმება ძალაც და შეძლებაც) მოთამაშე***

„ის უნიკალურია" — ამბობს ჰაკიმ ოლაჯუონი. 90-იანი წლების ეს ლეგენდარული ცენტრი ბედნიერია, რომ მისი კარიერის პიკი არ დაემთხვა შაკილ ონილად წოდებული მონსტრის ძალების სრულ გაფურჩქვნას.

ნბა-ს ლეგენდარულ ცენტრთა სიაში შაკილ ონილმა უკვე გაუსწრო ჰაკიმ ოლაჯუონს, დევიდ რობინსონს, ქარიმ აბდულ-ჯაბარს, მოზეს მელოუნს... იგი ახლა მითიურ უილტ ჩემბერლენს მისდგომია.

ჩემბის ქანდაკების კვარცხლბეკიდან შაკმა ბევრი ქვა გამოამტვრია და საკუთრის საფუძველში ჩააყოლა. ამაში ძალაუნებურად ეხმარებიან ნბა-ს, დღეს უკვე დიდი ოჯახის მამები. ისევე, როგორც დაახლოებით 30 წლის წინ ჩემბერლენმა, ახლა შაკილ ონილმა აიძულა ნბა, ცხოვრების ნირი შეეცვალა. შარშან ასოციაციამ გააუქმა წესი, რომელიც ადრე გადახედვასაც არ ექვემდებარებოდა. ნბა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა ზონური დაცვის გარეშე, ერთი-ერთზე დაცვით, რაც ამერიკული კალათბურთის სანახაობრიობას განაპირობებდა. მაგრამ ვინაიდან ერთი დამცველით პრაქტიკულად შეუძლებელია შაკის თუნდაც ოდნავ შეზღუდვა და ეს დევი ყოველთვის ჩააგდებს 100 არა და 40 ქულას, ნბა იძულებული შეიქნა, ხელუხლებელი წესი შეეცვალა და ერთ შემტევზე ორი მცველით მისვლა, პრაქტიკულად, ზონური დაცვა შემოეღო.

რა მოიგო ამით ნბა-ს დანარჩენმა ნაწილმა? ბევრიც ვერაფერი. ოდნავ შემცირდა ონილის შედეგიანობა, მაგრამ მთლიანობაში იგი ორკაციანი კედლის განგრევასაც ახერხებს და წვდება ცას, ტიტულებს, ჩემპიონობას... ეს გოლიათი სამი კაცის ექვსი ხელით გარშემორტყმულიც ახერხებს თავისი ცენტნერნახევრიანი სხეულის აწევას და სათამაშოსავით ბურთის გრუხუნით ჩატენვას. ჰო, შაკილ ონილის ეპოქაში ფარები უფრო გამძლეა, ვიდრე მეჯიქ ჯონსონის დროს იყო.

ნბა-ს პატრიარქ დევიდ შტერნს ამას წინათ ჰკითხეს, კიდევ რაიმე წესს ხომ არ შემოიღებთ შაკილ ონილის შესაზღუდადო, რაზეც შტერნმა მიუგო: „არ მესმის, რატომ უნდა შევზღუდოთ. მე მომწონს შაკი ისეთი, როგორიც ის არის".

შაკილ ონილი უხეში ძალის გამოხატულებაა, თუმც მის სიუხეშეს და „ძალმომრეობას" უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს ბავშვებშიც და შტერნის ასაკის ხალხშიც, ოკეანგაღმაც, საქართველოშიც, აქვე, ჩვენს გვერდით და ალბათ პაპუა ახალ გვინეაშიც.



## ხერხი



**„ეს ბავშვი** წარმოუდგენლად ნიჭიერია" — თქვა 1996 წელს ლეგენდარულმა 60-იანელმა ლეიკერსელმა, იმხანად კი ამ კლუბის პრეზიდენტმა ჯერი ვესტმა და პირდაპირ დრაფტზე გაუცვალა „შარლოტს" 17 წლის კობი ბრაიანტი ცენტრ ვლადე დივაცში. ახმაურდა იმ დრაფტის დამსწრე სპეციალისტობა — რა უგუნურებაა გამოცდილი ცენტრის 17 წლის ლლაპ უკანახაზელში გაცვლაო.

ვესტს გადამეტებულად არ უქია თავისი არჩევანი, იცოდა, თავის მართლებაში ჩამოერთმეოდა. ეგაა, მწვრთნელებს უთხრა, მაგ ბიჭს მიმიხედეთ, წვრთნა და ყურადღება არ მოაკლოთო. დრო გავიდა და „ლეიკერსი" უკვე ყოველწლიურად კრეფს უხვ ნაყოფს თითქოსდა უდაბნოში დარგული ხიდან.

2000 წელს, როდესაც „ლეიკერსმა" 12-წლიანი შესვენების შემდეგ კლუბის ისტორიაში მე-12 ჩემპიონობა გამოჭედა, მხცოვანი ვესტი პენსიაზე გავიდა, წასვლის წინ კი როგორღაც სიტყვა დააგდო, კობი ბრაიანტი თანამედროვე ნბა-ს სახეაო.

ჯერი ვესტი თავადაა ნბა-ს სახე. ლიგის ემბლემაზე სწორედ ეს ლეგენდარული გამთამაშებელია აღბეჭდილი. ვესტი კი ამბობს, ჩვენი ლიგის სახე კობი ბრაიანტიაო. მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ თანამედროვე სწრაფი და მოქნილი კალათბურთელის სახე ვინძლო სწორედ კობი იყოს. იგი ჯორდანის მემკვიდრეა და საქმე ნბა-ს ახალ ლოგოს შექმნაზე რომ მიდგეს, თარგად უფრო მას აირჩევდნენ, ვიდრე სხარტ აივერსონს, ანაც მფრინავ კარტერს. ნბა-ში მისი გაბარიტებისა და ამპლუის უამრავი კალათბურთელი თამაშობს, ის კი ყველასგან გამოირჩევა. ამავდროულად ეს მოქნილი და მოხერხებული ჯეელი 23 წლისა უკვე ნბა-ს სამგზის ჩემპიონია. კობის თითქოს ყველაფერი აქვს, მაგრამ მას მაინც რაღაც აკლია სრულ ბედნიერებამდე.

შესაძლოა, ბრაიანტი დღევანდელი საზომებით ნბა-ს იდეალური მოთამაშე იყოს, მოქნილიც, სწრაფიც, მაღალიც, ზუსტიც, მაგრამ მას გულს ის უკოდავს, რომ საკუთარ გუნდში პირველი ვერაა. კობი ყოველთვის იქნება ჩრდილში, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, სანამ „ლეიკერსის" ფარქვეშეთში იდგება შაკილ ონილი.

კობი ამბიციური ჯეელია და არ უნდა, მთელი თავისი კარიერის განმავლობაში შაკისთვის პასის მიმწოდებლად და გუნდის მეორე კაცად იმუშაოს. ერთხელ სხვაგან გადაბარგებაც გადაწყვიტა. მას და შაკს ერთმანეთთან უჩხუბიათ კიდეც, ერთი სიტყვით, კობის უჭირს, ვერ ეჩვევა დიდი თანაგუნდელის ჩრდილში ყოფნას.

შაკი პატივს სცემს მომცრო თანაგუნდელს. ერთხელ მას თავისი კერპი უწოდა და თან დააყოლა, კობი მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელიაო. კობის უნდა, რომ მართლა იყოს უძლიერესი და არა მსოფლიოს უძლიერეს კლუბ „ლეიკერსის" სამი სვეტიდან ერთ-ერთი, უფრო მესამე, ვიდრე პირველი.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# გოლდენ სტეიტმა ცქიტიშვილი მაიამის დაუმალა

## რა დროს სმაა, ხვალ-ზეგ ნბა-ა

**ნიკა ცქიტიშვილი** იტალიის ჩემპიონია. შაბათს „ბენეტონმა“ ფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო ბოლონიის „სკიპერს“ და მესამედ გახდა ქვეყნის პირველი გუნდი. ცქიტიშვილს არ უთამაშია, თუმც ამას ახლა დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ნიკას ხომ ნბა-ში გადასვლის რეალური შანსი გამოუჩნდა. კვირას ამერიკიდან ტრევიზოში ჩასულ დამკვირვებლებს საგანგებო ვარჯიშზე ქართველი მოსწონებიათ და მასთან ხუმრობით „მოლაპარაკება“ გაუმართავთ. ამის შესახებ თავად ნიკამ გვითხრა, როცა გუშინ ტრევიზოში დავუკავშირდით. იგი საჩემპიონო ზეიმზეც გველაპარაკა.

— ტრევიზოში ერთი ამბავი იყო. ჩემპიონობა ხმაურით აღვნიშნეთ, მთელი ღამე არ გვიძინია.

**— თავად მატჩი დაძაბული იყო?**

— თანაც როგორი... ვითარებას ისიც ამწვავებდა, რომ ბოლონიაში ვთამაშობდით და მაყურებლები ძალიან აქტიურობდნენ. მთელი შეხვედრა წინ ვიყავით, როცა ბოლო წუთი დაიწყო და „სკიპერის“ წაგება გარდაუვალი გახდა, ფანები მოედანზე შემოცვივდნენ და თამაშის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდნენ. 89:81 ვიგებდით, მასპინძლებს ალარაფრის შეცვლა აღარ შეეძლოთ და მსაჯმაც მატჩი შეწყვიტა, მოგება ჩვენ ჩაგვეთვალა.

**— როგორი რეაქცია მოჰყვა ამ ამბავს?**

— ბოლონიაში გაოგნებულნი იყვნენ. დაჯილდოება არ შედგა. მაყურებელი მეტად აგზნებული იყო და ქალაქს სასწრაფოდ გავეცალეთ. აი, ტრევიზოში კი მართლა ზეიმი იყო. ექვსი ათასმა კაცმა გულითადი დახვედრა მოგვიწყო. ისინი მღეროდნენ, თან ბოლონიელებს აგინებდნენ. მერე შამპანურებით წუწაობა ატყდა, მთლად დავსველდით. ყველა ამბობდა, ჩემპიონები მესამედ გავხდით და ესეთი ამბავი ჯერ არ გვახსოვსო.

**— ცხადია, ბანკეტსაც მოაწყობდით...**

— „ბენეტონს“ ერთი დიდი შენობა აქვს, სადაც ოფისი, ტრენაჟორები, საუნები და რესტორანია. დახვედრა ამ ცენტრის წინ მოგვიწყეს, მერე კი ყველანი მხრებზე შეგვისვეს და რესტორანში აგვიყვანეს. მაგარი ქეიფი გამოვიდა, ყველა უგონოდ დათვრა. მერე დისკოთეკაზე წავედით კალათბურთელებიცა და გულშემატკივრებიც. დიჯეი „ბენეტონის“ კაპიტანი რიკარდო პიტისი იყო. მთელი ღამე ცეკვა-თამაშში გავატარეთ.

**— შენც დალიე?**

— არა. მეორე დღეს ამერიკელებს უნდა გავესინჯე და წვეთი არ დამილევია.

**— როგორ ჩაიარა საჩვენებელმა ვარჯიშმა? რომელი გუნდებიდან იყვნენ?**

— ჯერ ორი გოლდენსტეიტელი მაკვირდებოდა, შემდეგ მათ მაიამელიც შეუერთდა.

**— დანტონიც იქ იყო?**

— არა. მისი თანაშემწე მაძლევდა მითითებებს და მეც ვასრულებდი. შემდეგ ამერიკელებმაც მომცეს ერთი-ორი დავალება.

**— რას გაკეთებინებდნენ და თუ მოეწონეთ?**

— თითქმის ყველა საკალათბურთო ილეთი შევასრულე. სროლა, დრიბლინგი, ხტომა, სირბილი და, რაღა თქმა უნდა, ჩატენვა.

**— როგორ ფიქრობ, მოეწონე? რამე ხომ არ გითხრეს?**

— როგორც შევატყვე, „გოლდენ სტეიტის“ ხალხს უფრო მეტად მოვეწონე. თავიდან, როგორც ვთქვი, მხოლოდ ისინი იყვნენ დარბაზში და სანამ მაიამელი გამოჩნდებოდა, ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და ხუმრობით მითხრა, მაიამელი რომ შემოგვიერთდება, მთელი ძალით არ ივარჯიშოო. „მაიამი“ დრაფტზე მეათე ნომერია, ჩვენ კი მესამეო. არ გიჯობს, თავი მარტო ჩვენ მოგვაწონოო.

**— მესამენი თუ არიან, რომ მოინდომონ, „მაიამის“ ხომ ისედაც დაასწრებენ შენს აყვანას.**

— ეგ ეგრეა. ეს ხუმრობით მითხრეს, მაგრამ ბოლოს სერიოზულად გამოთქვეს კმაყოფილება, კარგი მონაცემები გაქვსო.

**— მაიამელმა რაო, რა გითხრა?**

— მანაც მომცა რამდენიმე სავარჯიშო. ბოლოს მითხრა, მიყოლებით ოცჯერ ჩატენეო, თან დრო დამინიშნა. ვარჯიშის დაწყებიდან საათნახევარი იყო გასული, დამენათევი ვიყავი, თან ძალიან ცხელოდა. ოცჯერ კი ჩავტენე, მაგრამ დროს გადავაცილე. ეს არაფერიო, ამერიკელებმა თქვეს.

**— ჩემპიონატი დასრულდა. ამერიკაში როდის მიემგზავრები?**

— ვიზა, ალბათ, სამშაბათს იქნება მზად, შაბათს ან კვირას წავალ.

**— ესე იგი, „ბენეტონის“ დაჯილდოებაშიც მიიღებ მონაწილეობს...**

— კი და ამბობენ, იქ უარესი მოხდებაო. დაჯილდოება ბუნებაში მოეწყობა, ტრევიზოს ულამაზეს ადგილზე. ქეიფიც იქნება და ცეკვაცო.

**— გამოდის, ამერიკაში ვარჯიშებს ვეღარ ჩაუსწრებ...**

— „გოლდენ სტეიტის“ წარმომადგენლებმაც ეგ მითხრეს. ამერიკაში რომ ჩახვალ, კლუბების უფროსებს გაიცნობ, ვარჯიშის დრო აღარ იქნებაო.

**— არადა, ზაზა ფაჩულია იქაა...**

— იქაა და, როგორც შევიტყვე, მოსწონებიათ. ჩემი მენეჯერის თანაშემწისგან ვიცი, რომ ზაზამ ბოლოს „ორლანდოში“ ივარჯიშა და ახლა ლოს ანჯელესშია „ლეიკერსთან“ სავარჯიშოდ.

**ირაკლი ბერტაია**



ნიკა ცქიტიშვილი ამერიკაში იტალიის ჩემპიონად მიდის

## დსთ-ს, ბალტიისპირეთის და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო თამაშები. მოსკოვი



REUTERS მოხსენებიდან

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვში ჩასული ოლიმპიური პრეზიდენტი ჟაკ როგი ისტუმრა

# თამაში ძველი თამაშებით

**მოსკოვში** დაიწყო ჭაბუკთა სპორტული თამაშები, რომელშიც დსთ-ს, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ეს უკანასკნელნი მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და რუსეთის ცენტრალური ფედერალური ოლქების (რცფო) სხვადასხვა გუნდებში არიან გაერთიანებულნი.

ჩვენებმა პირველ წარმატებას ცხენოსნობაში მიაღწიეს. ირაკლი ბულისკირიამ წინაღობათა გადალახვაში მესამე ადგილი დაიკავა. ბულისკირიას თანაგუნდელმა ვანო ნორაკიძემ მე-17-25-ე ადგილები გაიყო.

წარმატებით დაიწყეს ტურნირი ფეხბურთელებმა, რომლებიც ლიტვის, ყაზახეთისა და რუსეთის ცენტრალური ფედერალური ოლქის გუნდებთან ერთად B ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. პირველ შეხვედრაში კობა ჟორჟიკაშვილის აღსაზრდელებმა ყაზახ თანატოლებს 6:1 სძლიეს. ბურთები გაიტანეს ლაშა ჭელიძემ, გიორგი ფიფიამ, ვასილ ლუჭაშვილმა, გოჩა ხოჯავამ და შოთა ჭელიძემ, ერთი ბურთიც ყაზახმა დენის ერიომინმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

მეორე შეხვედრაში საქართველოს ნაკრები ლიტველებთან 0:1 დამარცხდა. ჩვენების კარში ერთადერთი ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ლინას ტიხიაიტისმა.

ჯგუფში ექვსი ქულით ლიტველები ლიდერობენ, ხოლო ქართველი ფეხბურთელები სამი ქულით მეორე ადგილზე არიან.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში საქართველო B ჯგუფში ყირგიზეთის, ლიტვის, რუსეთის ურალისა და ვოლგისპირეთის გუნდებთანაა.

პირველ შეხვედრაში ქართველმა ბიჭებმა იოლად სძლიეს ყირგიზეთის გუნდს (128:36). მეორე შეხვედრა მათ ურალთან გამართეს და კვლავ გაიმარჯვეს (89:72), ხოლო მესამე მატჩში ვოლგისპირელებს სძლიეს (92:73).

ამ თამაშებში მედლები ჯერჯერობით რვა გუნდის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

| გუნდები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 1 | 1 | 0 | 2 |
| სანკტ-პეტერბურგი | 1 | 0 | 1 | 2 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 |
| რცფო | 0 | 1 | 3 | 4 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 | 1 |
| ლატვია | 0 | 1 | 0 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 | 1 |

ავტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში მეშვიდე ეტაპი, საბერძნეთი

# რიჩარდი ვეღარ მეფობს

**მსოფლიოს** შარშანდელი ჩემპიონები რიჩარდ ბარნსი და მისი მეწყვილე რობერტ რიდი მიმდინარე სეზონში უხეიროდ ასპარეზობენ. „სუბარუდან“ „პეჟოში“ გადასხდომამ მათ ვერაფრით არგო, შვიდი ეტაპიდან ჯერ ერთშიც ვერ გაუმარჯვიათ და სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფ თანაგუნდელ მარკუს გრონჰოლმს (შტურმანი ტიმო რაუტიაინენი) უკვე ქულათა ორმაგი სხვაობით ჩამორჩებიან.

ჩემპიონებს მორიგი მარცხი საბერძნეთის ქვაღორღიან და მტვრიან გზებზე შეემთხვათ — „აკროპოლისის“ რიგით 49-ე რალის მე-13 ჩქაროსნულ უბანზე მათ მანქანას უკანა მარცხენა ბორბლის ღერძი გაუტყდა. სეზონი უიღბლოა ოთხგზის ჩემპიონ ტომი მაკინენისთვისაც. ფინელი ამჯერადაც საკუთარმა შეცდომამ დააზარალა და არა „სუბარუს“ გაუმართაობამ.

სამდღიან საწვალებელში ყველას ბრიტანელმა ექსჩემპიონმა კოლინ მაკრეიმ (ნიკი გრისტი) აჯობა, ზედიზედ მეორედ საბერძნეთში და პირველად წლეულს. მართალია, ფინელი მარკუს გრონჰოლმი ამჯერად მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, მაგრამ საერთო ჩათვლაში თავისი უპირატესობა უფრო გაზარდა და შარშანწინდელი ტრიუმფის გამეორების საუკეთესო შანსიც აქვს.



REUTERS

კოლინ მაკრეის „ფორდს“ საბერძნეთში ახლოსაც ვერავინ გაეკარა

**რბოლის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1 კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 4სთ; 27.43,8 |
| 2 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 24,5 |
| 3 კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 1.45,6 |
| 4 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 1.57,6 |
| 5 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.58,6 |
| 6 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 2.40,1 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი 37 ქულა; 2. კარლოს საინსი 23; 3. კოლინ მაკრეი 20; 4. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 20; 5. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 19; 6. პეტერ სოლბერგი 15; 7. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) 14; 8. ჰარი როვანპერა 12; 9. ფილიპ ბუგალსკი (საფრანგეთი, სიტროენი) 7; 10. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 6

# აუდი! სხვა ყველა — აუტი

**საავტომობილო** სპორტში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობად საფრანგეთში, ლე მანის ტრასაზე 24-საათიანი მარათონი ითვლება. ეს საგამძლეობო ჯირითი წლეულს 70-ედ ჩატარდა. ყოველი გუნდის შემადგენლობაში სამი პილოტია, რომლებიც მონაცვლეობით იკავებენ ადგილს კოკპიტში.

საიუბილეო „ლე მანი“ ბოლოდროინდელ ტრიუმფატორ „აუდის“ მორიგი ბენეფისით აღინიშნა — პოდიუმის სამივე საფეხური ამ ტიტულოვანი გერმანული კონცერნის ეკიპაჟებმა დაიკავეს.

საკვალიფიკაციო ბრძოლა ყოფილი მეფორმულის, ინგლისელი ჯონი ჰერბერტის სამეულმა მოიგო. ცხადია, რბოლაში სტარტიც პირველმა აიღო და ამდენად გარკვეული „ტერიტორიული“ უპირატესობაც მიიღო, მაგრამ „აუდი-2“ მხოლოდ სამი საათი ედგა 50-მანქანიან ქარავანს სათავეში — საბურავის დაზიანების გამო ლიდერობა თანაგუნდელებს გადაულოცა და შეჯიბრებაც საბოლოოდ რეიტინგის შესატყვისად დასრულდა. ფინიშზე ყველას მიასწრო „აუდის“ პირველმა ეკიპაჟმა ფრანკ ბიელას, ტომი კრისტენსენის და ექსფორმულელ ემანუელე პიროს შემადგენლობით. ჰერბერტი მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო გერმანელ მიხაელ კრუმის გუნდი მესამე იყო.

აღსანიშნავია, რომ „აუდის“ ამგვარი წარმატება ანუ საპოდიუმო ჰეთ თრიქი მეხუთეა ლე მანის ისტორიაში, მანამდე ეს „ბენტლიმ“, „ფერარიმ“, „მატრამ“ და „პორშემ“ შეძლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიუიტი მაკინროის გვერდით გააკრეს

## კაფელნიკოვი კიფერიდან კიფერამდე



ლეიტონ ჰიუიტი საუიმბლდონო ხასიათზეა

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) 7:6 (7:5), 6:3; ტიმ ჰენმანი (2, ბრიტანეთი) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:7 (5:7), 6:4, 6:2**

**ფინალი**

**ჰიუიტი — ჰენმანი 4:6, 6:1, 6:4**

მეჩოგნე კაცთა შორის თავისი უზენაესობა ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა გასულ კვირას კიდევ ერთხელ ცხადყო, როცა ზედიზედ მესამედ ჩაბლუჯა ქუინზკლაბური ვერცხლის ვეება თასი. ასეთი რამ — ანუ საუიმბლდონოდ ამ მთავარსამზადისი კორტების მიჯრით სამჯერ აოხრება აქამდე მხოლოდ ლეგენდარულ ჯონ მაკინროის მოეხერხებინა შორეულ 1979-81 წლებში.

ეს წლეულს ჰიუიტის მიერ მოგებული მესამე ტიტული იყო. მერვე პირად შეხვედრაში ბრიტანელი ტიმ ჰენმანის მეშვიდედ ძლევამ — და, იქნებ გახსოვდეთ, ოზიმ ბრიტს შარშანდელ ფინალშიც მოუგო — 21 წლის ავსტრალიელის ბიუჯეტი კიდევ 84 200 დოლარით გაამდიდრა.

„ჩემი მშობლიური ადელაიდა აქედან ძალიან შორსაა, მაგრამ თავს აქაც ისევე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში — იძახდა ჰიუიტი — ამ ჯილდოს მოგებას კი გამორჩეული მუღამი აქვს, მით უმეტეს, როცა ამას სამჯერ აკეთებ. აბა, იმაზე უფრო საპატიო რა უნდა იყოს, როცა კლუბის კედლებზე გამოკრულ დიადთა ფოტოების გვერდით საკუთარსაც ხედავ".

„რაც შეეხება თიხიდან ბალახზე გადმოსვლასა და საუიმბლდონოდ მზადებას, გამიმართლა — რადგანაც წრიდან წრემდე უკეთეს მეტოქეებს ვხვდებოდი და მშვენივრად გავივარჯიშე. სხვა თუ არაფერი, სავარჯიშოდ ტიმთან ფინალში შეხლაც იკმარებდა. იგი უიმბლდონის ერთი უმთავრესი ფავორიტი და მსოფლიოს ერთი საუკეთესო მებალახსაფარეა, ამიტომაც მასთან მოგებამ საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დამარწმუნა".

„ის უბრალოდ მსოფლიოს უძლიერესი მეჩოგნეა — ასე ეპასუხებოდა მას ჰენმანი, ვინაც ფინალში, წლევანდლისა და შარშანდლის გარდა, 1999-შიც დამარცხებულიყო — ჩემს თამაშზე საწუწუნო ბევრი არა მაქვს, რაც შემეძლო, კაცურად ვაკეთე, მაგრამ მის წინააღმდეგ, ჩანს, მთელი ჯიგარი უნდა გაიღო. ამის გაკეთება კი დღეს ვერ შევძელი".

ჰიუიტისთვის რომ მოეგო, 27 წლის ბრიტი კარიერის მე-10 ტიტულს მოიპოვებდა.

**GERRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — კრისტ კარლსენი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:3; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) 4:6, 6:4, 6:4**

**ფინალი**

**კაფელნიკოვი — კიფერი 2:6, 6:4, 6:4**

თავისი უკანასკნელი ტიტული 28 წლის ევგენი კაფელნიკოვს შარშან ოქტომბერში, მშობლიურ საკრემლთასო ფინალში გერმანელი ნიკოლას კიფერისთვის მოეგო.

ბედმა ისე ინება, რომ იქიდან მოყოლებული, ვიდრე წინა კვირამდე სოჭელმა ჟენიამ რამე ქეციანი ტურნირი რაა, იმის ფინალში თამაშიც ვერ მოახერხა, გზად მხოლოდ ერთი ნახევარფინალიდან გამოვარდნა მოასწრო და მრავალთვიანი ტიტულყაზზობა ისევ კიფერთან საფინალო პაექრობისას მოირჩინა!

თუმცა ტიტულყაზზობა იქით იყოს, კაფელნიკოვი მთელი ამ ხნის განმავლობაში ისე არადამაჯერებლად ჩოგნაობდა, რომ შუაგაზაფხულზე, როცა ფეხის ტრავმა მიიღო, კინაღამ კორტისგალმა გასვლა არჩია.

ვერავინ იტყვის, რომ ჰალეში სრულიად სხვა კაცი ჩავიდა, მაგრამ ფაქტები მაინც თავისას მეტყველებს — კაფელნიკოვმა შეხვედრათა საწლევანდლო, მანამდე უარყოფითი ბალანსი 22:18-მდე გამოისწორა, კარიერის 25-ე ტიტული მიითვალა და, რაც მთავარია, მესამედ დაეუფლა იქაურ ტიტულს. ჰალეში მას ადრე 1997 და 1998 წლებშიც ემარჯვა.

და კიდევ — ის მერვე მეჩოგნე გახდა „ღია ჩოგბურთის" ერაში, რომელმაც სულ მცირე 25 საერთეულო და 25 საწყვილო ტიტული დააგროვა.

თუმცა საამკვირაო ზეობა მას იოლად სულაც არ გამოსვლია. მეორე სეტში მზელავიც კი გამოიხმო, რათა ვაგლახად წამოტკიებული ფეხი დაემებინა. ის-ის იყო, თეთრი პირსახოცი უნდა გადამეგდოო, ხუმრობდა ნამატჩევს.

ჯაბნად არც ათი ათასი გერმანელი ქომაგის მიერ შეგულიანებულ მის მეტოქეს უჩოგნავია, ვინაც — სანამ ფინალამდე მივიდოდა, გზიდან თვით პიტ სამპრასი და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ჩამოიშორა.

სხვათა შორის, ეგებ ვინმეს ყურადღება არ მიუქცევია და, კიფერს წლეულს კაფელნიკოვზე უარესი სეზონი ჰქონდა. ამა თუ იმ ცხრა ტურნირიდან — მათ შორის როლან გაროსიდან თუ სამივე მასტერსარბიელიდან (მაიამი, რომი, ჰამბურგი) — იგი პირველივე წრეში დაითხოვეს.

„ამიტომაცაა, რომ წაგებას დიდად არ ვინაღვლი — ამბობდა მერე — თუმცა თავიდან უკეთ დავიწყე და ეგებ მეტიც შემეძლო, მაგრამ ეგ არაფერია. მთავარი ის არის, რომ ამ ტურნირმა თვითრწმენა დამიბრუნა. თავად განსაჯეთ, სად ვიყავი თუნდაც ორი კვირის წინ და სადა ვარ დღეს".

24 წლის კიფერი, რომელსაც ჰალეში 1999 წელს გაჰმარჯვებია და კარიერის მეშვიდე ტიტულს დაეძებს, დღეს იქვეა, სადაც ყველა — უიმბლდონის კარიბჭესთან!

შეიძლება ჰალეურ ბალახსაფარზე ნახეირები კაფელნიკოვის ამ მთავარსაბალახე ტურნირის ფავორიტთა შორის მოხსენიება? თავად რუსი ამ კითხვას აი, ასე პასუხობს:

„1997 და 1998 წლებში, როცა აქ ვიმარჯვებდი, უიმბლდონიდან ადრეეტაპებზე მაგდებდნენ. ამიტომ დასკვნები თავად გააკეთეთ. მე კი ერთი იმას დავძენ, რომ მაშინ, როცა უეჭველ ფავორიტად თავად პიტ სამპრასიც აღარ მიიჩნევა, იქ მოგება ალბათ ნებისმიერს ძალუძს".

სხვაფრივ — ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობათა ოდინდელმა ჩემპიონმა ჰალედან კეთილ მოგონებებთან ერთად გამარჯვებულისთვის კუთვნილი 100 ათასი დოლარიც გაიყოლა.



ევგენი კაფელნიკოვი და ნიკოლას კიფერი

**EDGBASTON OPEN**
ბირმინგემი. ბალახი
საპრიზო 170 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ელენა დოკიჩი (1, იუგოსლავია) — ლაიზა რეიმონდი (8, აშშ) 6:1, 7:5; ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (14, ავსტრალია) 6:3, 7:5**

**ფინალი**

**დოკიჩი — მისკინა 6:2, 6:3**

19 წლის ბარაქიანმა იუგგოგო ელენა დოკიჩმა თავისი პირველი საბალახსაფრო ტიტული მოიხვეჭა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მისი საკარიერო ტიტულმონაგარი 5-მდე ავიდა, ხოლო მალაზიებში სახარჯო ფულის მასა 27 ათასი დოლარით გაეზარდა.

ისე კი — წინა ტიტული მან წლეულს სარასოტაში, ასევე რუს ტატიანა პანოვასთან პაექრობაში მოიგო, მისკინას კი უკვე ზედიზედ მესამე შეხვედრაა, ამარცხებს და — ვინმეს თუ აინტერესებს — ბოლოჯერ რომში, იტალიის ღია პირველობაზე სძლია.

„ეს ჩემი პირველი საბალახო გამარჯვებაა, უიმბლდონის წინ ამაზე კარგ მოთელვას კი ალბათ ვერავინ ისურვებდა — ხალისობდა დოკიჩი ნამატჩევს — პირველი მატჩიდანვე კარგად ვთამაშობდი, რამდენიმე რთული შეხვედრაც გამოვიარე და ჯამში ამ კვირით უაღრესად ნაამები ვარო" — დასძენდა მერე.

**VIENNA GRAND PRIX**
ვენა. თიხნარი
საპრიზო 170 ათასი $

**ფინალი**

**ანა სმაშნოვა (4, ისრაელი) — იროდა ტულიაგანოვა (2, უზბეკეთი) 6:4, 6:1**

ეშხიანი უზბეკხათუნის, იროდა ტულიაგანოვას დასამარცხებლად და სეზონის მესამე ტიტულის მისათვლელად 25 წლის ისრაელელ ანა სმაშნოვას საათზე ათი წუთით მეტი დასჭირდა.

სმაშნოვა კარიერის საუკეთესო სეზონს თამაშობს და ვენამდე, სადაც ჯილდოსთან ერთად 27 ათასი დოლარიც ებოძა, ოკლენდსა და კანბერაშიც გაელალა.

20 წლის ტულიაგანოვა — ეგებ ვინმეს მიავიწყდა და — ვენის შარშანდელი გამარჯვებული გახლავთ.

**ტაშკენტის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 140 ათასი $

**ფინალი**

**მარი-გაიანე მიქაელიანი (1, შვეიცარია) — ტატიანა პუჩეკი (2, ბელარუსი) 6:4, 6:4**

მარი-გაიანე მიქაელიანი მეჩოგნე ქალთა მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ 52-ე საფეხურზე დგას და ეს მისი პირველი ტიტულია. მიქაელიანი 18 წლისაა და ალბათ არ გაემტყუნება, თუკი გამარჯვებულისთვის კუთვნილ 22 ათას დოლარს თინეიჯერულად მოფლანგ-მოფლანგავს.

**ლევან ძელაურაძე**



ლონდონის ტურნირის საქველმოქმედო ნაწილში თვით ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმა გამოსცადა ხელი



ელენა დოკიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS



REUTERS




REUTERS

# ერთს ქეგლი, მეორეს დარდი

აი, მძიმე წუთი. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ როჟე ლემერისთვის პირველი პრესკონფერენცია აკადემიური, მაგრამ მწარე იყო. ლემერმა განაცხადა, რომ თანამდებობიდან გადადგომა სწადია, მაგრამ ფრანგთა ფედერაციის თავკაცმა, კლოდ სიმონემ სთხოვა მწვრთნელს, რომ ცივი გონებით დაფიქრდეს და ერთი ხნის შემდეგ გადაწყვიტოს, ნავა თუ დარჩება.

ვინც ჩემპიონატზე დარჩა, იმათგან ორი ყველაზე მოდური კაცი ფრანჩესკო ტოტი და დევიდ ბექემი გახლავან. ტოტის ყოველთვის კორეელ გოგონათა გუნდი სდევს, ბარემ ბექემსაც, მაგრამ ბექზი გუშინ მოუცლელი იყო და ჯოხიანი კამფეტის წლოკნით ერთობოდა კობეს სტადიონზე, სადაც სვენ გორან ერიკსონმა მთელი გუნდი დაასწრო ბრაზილია-ბელგიის შეხვედრას, მომავალი მოწინააღმდეგე შეათვალიერეთო.

მეხიკოს ქუჩებში კი კვლავ იჭერენ ცხელგულა გიჟებს, ახლა უკვე საკუთარი ნაკრების მარცხის გამო რომ ხულიგნობენ. ნორჩი ამერიკელი კი ისტორიული მოვლენის მომსწრეა, ნასტუდენტართა ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა. ამის გამო ამერიკაში ძეგლს არავინ დაუდგამს მწვრთნელ ბრიუს არენას, სამხრეთ კორეაში კი უკვე არაერთი მოქანდაკე გამოჩნდა, ახალი ეროვნული გმირის, გუს ჰიდინკის გამოქანდაკება რომ მოუსწრია.

და, რა თქმა უნდა, ქაბული, სადაც უკვე ალარავის იჭერენ ტელევიზორის ყურების გამო და კიდევ მეტი, იქაური ბიჭუნები მსოფლიო ჩემპიონატსაც ხალისით უყურებენ.



REUTERS



REUTERS



REUTERS



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge